ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

ერთობლივი ნომერი

საქართველოს რესპუბლიკა №177 (2536)

№10 (11066) 28 ივლისი – 3 აგვისტო 1997 წელი ფასი 40 თეთრი (თბილისის გარეთ 45 თეთრი)


## საქართველოს „დიდი ძმა გამოიცვალა?“...



გვ. 3

### ყველაზე უღალატო „პროტექტორი“...

გვ. 11

### „ქვიშის კარიერის გენერალი“ – სოსო!

### 51 წელი უფრო ბარბაროსული იყო, ვიდრე 37



გვ. 6

### ვისთვის ისტორიული დღე, ვისთვის...?!



გვ. 7

## კვირის სუპერფრაზები

*ორშაბათიდან ორშაბათამდე*

„შევარდნაძეს დღესაც რომ მოუნდეს გადადგომა და წასვლა, მე მაინც წინაალმდეგი ვიქნები... იმიტომ, რომ მოიხედეთ, რა ხდება უკან. სხვათა შორის, ესეც შევარდნაძის პასუხისმგებლობაა. როცა კაცი მიდის და ოჯახი ინგრევა, მთავარი დამნაშავე ოჯახის უფროსია.ასეა ჩვენს შემთხვევაშიც“.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია,**
პარლამენტარი

„პრეზიდენტ შევარდნაძის ვიზიტი ამერიკაში ის შემთხვევაა, როცა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთ სიტუაციაში მოვლენების შემდგომი განვითარება ცალკეული პიროვნებების სურვილზე არ იქნება დამოკიდებული“.

**ნესტან კირთაძე.**
პარლამენტარი

„იმ ძალებს, რომლებიც დღეს ქვეყანას მართავენ, არჩევნები კეირაიამ მოაგებინა“.

**შალვა ნათელაშვილი,**
პარლამენტარი

„ჩვენ აფხაზეთში მხოლოდ მათ ვებრძვით, ვინც ერისა და კაცობრიობის წინაშე დანაშაული ჩაიდინა. პარტიზანული ჯგუფის ხელმძღვანელობამ საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურებს მიმართეთ, რომ თუ ენგურის აქეთ პარტიზანს იარაღით ხელში შენიშნავენ, დააპატიმრონ. საერთოდ, დადგება დრო, როცა ჩვენს თითოეულ მებრძოლსა და თანამდგომს მამულიშვილებად მონათლავენ.“

**უცნობი პარტიზანი,**
„თეთრი ლეგიონის“ წარმომადგენელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი
გამოდის 1921 წლიდან.
დამფუძნებელია გაზეთის კოლექტივი.

დირექტორი
მერაბ ბალარჯიშვილი
რედაქტორი
გიგლა გოგეჩია
რედაქტორის მოადგილე
რუსუდან ლებანიძე
პასუხისმგებელი მდივანი
ნუკრი ბერიძე

განყოფილებები:
საპოლიტიკო – დავით ცაგარეიშვილი, თამარ ოთიაშვილი, ნონა ბურნაძე.
ინფორმაციისა და სოციალური საკითხების – ნინო ლურსმანაშვილი, მარინე დონაძე.
ეკონომიკის – ნატა სალუქვაძე.
კრიმინალის – ია მაჭავარიანი, მაია საღირაშვილი.
საზოგადოების – მაია თუნგია, ბრიგიტა შიუკაშვილი.
კულტურის – მიმოზა კვირკვია.
სპორტის – გია პლატონიშვილი, ვაჟა დანელია. („საქართველოს რესპუბლიკა“)
მენეჯერი – ლალი ხმიადაშვილი
რეკლამა-განცხადებების – ჯულიეტა ონიანი.
ფოტო-ილუსტრაციის – ჯავარ ლომაძე.
კორექტორები – მანანა დაუშვილი, ლელა ბუცხრიკიძე

„საქართველოს რესპუბლიკა“
რედკოლეგია

გაზეთი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში რეგისტრაციის № 20483868

გამომცემელი შპს „პრესა“

აიწყო და დაკაბადონდა „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ კომპიუტერულ ცენტრში

დაიბეჭდა საგაზეთო კორპუსში

რედაქციის მისამართია: თბილისი, 380096, მ. კოსტავას ქ. №14

გაზეთი არ გამოხატავს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისს და მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

შესაძლოა გაზეთში გამოთქმული მოსაზრება არ დაემთხვეს რედაქციისას.

ავტორები თვითონ აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტებისა და ციტატების სიზუსტეზე.

**მიმართვა**

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს მთავრობას

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქვეყნის ახალგაზრდობას პირველად მოგვეცა შესაძლებლობა, საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით, ერთად შევკრებილიყავით ყველა მხარის წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდობის ფორუმი იმართება ბაზალეთის ტბის ნაპირას, რომელთანაც დაკავშირებულია როგორც დიდი ტრაგედია, ასევე დიდი იმედი.

ჩვენი თაობა მოწმეა იმისა, რომ ბაზალეთის ტრაგედია ვერ გახდა მწარე გაკვეთილი და მსგავსი მოვლენები უახლოეს წარსულშიც განმეორდა.

ჩვენი სურვილია, საქართველოს მომავალი, ბაზალეთის ტბასთან დაკავშირებულ ძმათა შორის დაპირისპირების ნაცვლად, ოქროს აკვანს – იმედის სიმბოლოს დაეფუძნოს – ამიტომაც ჰქვია ჩვენს შეკრებას ეს სახელი.

დადგა დრო, როდესაც სახელმწიფოს შესწევს უნარი – განახორციელოს ერთიანი ახალგაზრდული პოლიტიკა და მთელი საქართველოს ახალგაზრდობის გონებრივი, ფიზიკური და სულიერი პოტენციალი გამოყენებულ იქნეს ქვეყნის დღევანდელი და მომავალი კეთილდღეობისათვის.

შეკრების მონაწილენი, საქართველოს ყველა კუთხის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ვუერდში ვუდგავართ ქვეყნის აღმშენებლობის, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის რთულ, მაგრამ აუცილებელ პროცესს.

გწამდეთ საქართველოს ახალგაზრდობის!

საქართველოს ახალგაზრდობის დღეების „ოქროს აკვანის“ მონაწილენი

## პრეზიდენტი არ თვლის საჭიროდ...

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი არ თვლის საჭიროდ ჩაერიოს ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტში, თუმცა იქვე დასძინა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგება ხელს შეუწყობდა ზემოთხსენებული კონფლიქტის მოგვარებასაც.

## რიბკინმა ლტოლვილებს უახლოეს მომავალში დაბრუნება აღუთქვა

რუსეთის უშიშროების საბჭოთა მდივანმა ივანე რიბკინმა ჩრდილოეთ ოსეთში ყოფნისას მოინახულა „სამხრეთ ოსეთიდან“ და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ლტოლვილი ოსები. რიბკინმა აღუთქვა მათ, რომ უახლოეს მომავალში ისინი უეჭველად დაბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ სახლებში ცხინვალსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, ამჟამად საქართველოდან ლტოლვილი ოსები უმძიმეს პირობებში იმყოფებიან.

## მკურნალობა უფასოა

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის თაოსნობით, რემონტი ჩაუტარდა სოფელ ქურთის საავადმყოფოს, რომელშიც არა მარტო ხეობის მცხოვრებნი, არამედ მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული ავადმყოფებიც მკურნალობენ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დამსახურებაა ისიც, რომ ქურთის საავადმყოფოში მკურნალობა უფასოა, ექიმებს თვეში 80 ლარი, ხოლო ექთნებს 40 ლარი ხელფასი აქვთ. 24 საათის განმავლობაში მუშაობს საავადმყოფოს სამშობიარო სახლი. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ლიახვის ხეობაში იმატა შობადობამ.

## კანონები დაბეგვრის შესახებ ყველასათვის სავალდებულოა

ჯერ კიდევ 1996 წელს დაწყებული დავა კავკასიის ტრანსექსპედიტორულ კომპანიასა და საგადასახადო სამსახურს შორის არ წყდება. კომპანიის სასარგებლოდ მიღებულმა რესპუბლიკის პროკურატურის გადაწყვეტილებამაც კი ვერ მოაგვარა დავა.

პრობლემის არსი კი, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აღნიშნული კომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი სხირტლაძემ უთხრა, ის არის, რომ 1996 წელს კავკასიის ტრანსაექსპედიტორო კომპანიას საგადასახადო სამსახურმა ანგარიშიდან ჩამოაწერა ძირითადი 245 ათასი ლარის გარდა დამატებით კიდევ 625 ათასი ლარი. როგორც გ.სხირტლაძემ აღნიშნა, საგადასახადო ინსპექცია ხელმძღვანელობდა მხოლოდ შიდასაუწყებო ინსტრუქციებით, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს დაბეგვრის შესახებ.

„კავტრექსი“ ამიერკავკასიაში მსოფლიოში ცნობილი ამერიკული სატრანსპორტო საექსპედიტორო კომპანია „სია ლენდის“ აგენტია, იგი აგრეთვე თანამშრომლობს „სია ლენდის“ მსგავს გერმანულ კომპანია „შენკერთან“. რომელიც აწარმოებს ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურიდან სომხეთის, აზერბაიჯანის, შუა აზიის რესპუბლიკებში და უკან კონტეინერების გადაზიდვას. კონტეინერებს იგი გადაზიდავს როგორც სატვირთო ავტომობილების, ისე რკინიგზის დახმარებით და კასპიის ზღვაზე საბორნე გადასასვლელითაც. 1997 წლის ექვს თვეში „კავტრექსის“ შემოსავალმა 5,036 მილიონ ლარს მიაღწია, მოგებამ – 966 ათას ლარს, ქვეყნის ბიუჯეტში კი ჩარიცხა 186 ათასი ლარი. 1997 წლის დამლევამდე „კავტრექსი“ აპირებს მიიღოს 13 მილიონი ლარის შემოსავალი. უახლოეს დროში დავა „კავტრექსსა“ და ფინანსთა სამინისტროს შორის გადაწყდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.




## ციფრული ავტომატური სატელეფონო სადგურები

დამთავრდა 30,31,36 და 51 ნომრებით თბილისის ავტომატური სატელეფონო სადგურების ტექნიკური განახლების სამუშაოები. ციფრული აღჭურვილობა აღნიშნული ავტომატური სადგურების აბონენტებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ახალი ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიის მაღალი ხარისხი. საწარმომ „ახალი ქსელები“ შეძლო ხარისხიანად და დროულად შეესრულებინა სამუშაოები, ხოლო მათი განხორციელება უზრუნველყო ტექნიკურმა კრედიტმა, რომელიც გამოჰყო კომპანია „დეუ ტელეკომმა“. საქართველოს ტელესაკომუნიკაციო სივრცეში საქმიანობის უფლება კორეის კომპანიამ მიიღო, როცა გაიმარჯვა შარშან კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში.

## ტყიბულელები ოპტიმალურ ვარიანტს ეძებენ

არსებობს ტყიბულში თბოელექტროსადგურის აგების ორი ვარიანტი – გერმანული და ჩეხური. გერმანული გულისხმობს, რომ სადგური გერმანელებს შეუძლიათ ჩამოიტანონ და ააგონ ტყიბულში და თუ საერთოდ იგი 200 მლნ დოლარი ღირს, ჩვენთან 150 მლნ დოლარი დაჯდება. არის მეორე შესაძლებლობაც, კერძოდ, ჩეხეთიდან შეიძლება 50-მეგავატიანი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის შეძენა და ტყიბულში დამონტაჟება. ადგილობრივი ხელმძღვანელობა ცდილობს შეარჩიოს ყველაზე მარტივი და პრაქტიკული ვარიანტი. ეს ხელს შეუწყობს შახტების ამუშავებას.

## დაიწყო ახალი პროდუქციის გამოშვება

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში ერთდროულად 2 ღუმელი მუშაობს და ყოველდღიურად 400 ტონა ფოლადს უშვებს. საგლინავ საამქროში ახლახან ათვისებული კვადრატული ნამზადის მორიგი დიდი პარტია გაეგზავნა მომხმარებელს, წვრილსორტული საამქრო კი ხვალიდან ასევე ახალ პროდუქციას, საამშენებლო კუთხოვანას გამოუშვებს. მეტალურგები პარალელურად დიდი ბაზრობისათვის ემზადებიან, სადაც 92 დასახელების სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო პროდუქციას გაიტანენ გასაყიდად.

## პრივატიზაციის სტატისტიკა 1997 წლის ექვსი თვის მდგომარეობით

რესპუბლიკაში 1997 წლის 1 ივლისისათვის საპრივატიზაციოდ დამტკიცებული 10 355 ობიექტიდან ფაქტიურად, პრივატიზებულია 10 093 საწარმო ანუ 97,5% 1997 წლის 6 თვის განმავლობაში პრივატიზებულია 296 საწარმო სააქციო საზოგადოებებად დაფუძნებული და რეგისტრირებულია მრეწველობაში 284 ობიექტი. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში – 315 არქიტექტურასა და მშენებლობაში – 210, ვაჭრობასა და მატერიალურ რესურსებში – 65, ნავთობპროდუქტებში – 27, საქგაზში – 29, ფოთისა და ბათუმის აეროპორტებში – 1 ობიექტი.

## ალოობა გრძელდება

სტატისტიკური მონაცემებით თავთავიანი კულტურები ყველა კატეგორიის მეურნეობებში აღებულია 10 816 ჰექტარზე. მიღებულია 14, 364 ტონა მარცვალი. საშუალო მოსავლიანობა კი 13,3 ცენტნერს შეადგენს. თავთავიანი კულტურების აღებული ფართობის 88 % კახეთის, ხოლო 12 % ქვემო ქართლის მხარეზე მოდის.

## სკანდალი ახალციხის საკაბელო ტელევიზიაში

ახალციხის საკაბელო ტელევიზიით 21 ივლისს ჩაწერილი იქნა ინტერვიუ ზარზმის მონასტრის წინამძღვართან, მამა გიორგისთან., რომელიც ეთერში მალე უნდა გასულიყო.

ადგილობრივმა ეპისკოპოსმა, მეუფე სერგიმ (ჩეკურიშვილი) დააშინა ტელევიზიის თანამშრომლები და მათ, თუ ინტერვიუს გადასცემდნენ, დაწყევლით დაემუქრა. მერე იგი ამასაც არ დაჯერდა და საქმეში ჩარია ახალციხის უშიშროების რაიონული განყოფილება. ზარზმის მონასტერი თვლის, რომ ეს ქმედება არღვს ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა.

საკუთარი ინფორმაცია.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „მოამბე-ექსკლუზივ-ექსპრესმა“, „იბერიამ“ და საკუთარმა კორესპონდენტებმა.**

## ახალგაზრდა პოლიტოლოგის სამრეკლო

# საქართველომ „დიდი ძმა გამოიცვალა?"...

**ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არცთუ ხშირია მოვლენა, რომელზეც საუბარი დროის განსაზღვრული ქრონომეტრაჟით არ შეიძლება. ასეთ მოვლენაზე პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა, ფართო საზოგადოებამ უნდა იფიქროს, განსაჯოს, გაიაზროს და ისე „გადამუშავებული" მიაწოდოს ხალხს. ასეთი მოვლენის რანგშია საქართველოს პრეზიდენტის ამასწინანდელი ვიზიტი ამერიკაში. მართალია, ამ ვიზიტზე არაერთი პუბლიკაცია მომზადდა, მაგრამ როგორაა იგი დანახული ახალგაზრდა პოლიტოლოგის სამრეკლოდან? გთავაზობთ ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველის დავით ცაგარეიშვილის მასალას ამასთან დაკავშირებით.**



გასული კვირის უმთავრესი მოვლენა იყო საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მას უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები ექნება საქართველოსთვის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავები, სულსწრაფები ვართ და გვინდა, შედეგი დღესვე გახდეს ჩვენთვის საგრძნობი. ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა წაიოცნება: რომ აშშ-ს პრეზიდენტს ასეთი რამ ეთქვა: „მე და ჩემი ქვეყანა ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თქვენმა ხალხმა იგრძნოს ნამდვილი დემოკრატია და თავისუფლება ... დაიბრუნოს დაკარგული ღირსება და დიდება, ჩვენ თქვენს გვერდით დავდგებით". ამ ოცნება-სურვილშიც ვლინდება ის, რაც ქვეცნობიერად არსებობს თითოეულ ჩვენგანში, გვინდა, ვიღაცამ ჩვენი გასაკეთებელი საქმე გაგვიკეთოს და ხვალ გავიღვიძოთ ისეთ ქვეყანაში, სადაც იქნება დემოკრატია, აყვავებული ეკონომიკა, მოისპობა კორუფცია, არ იქნება სამართალდარღვევები, ავადმყოფობა და ა.შ. მოკლედ, გვინდა ყველაფერი დღეს და თანაც სხვისი ხელით გაკეთებული?! ამიტომ აშშ-ში პრეზიდენტ ე.შევარდნაძის ვიზიტის ყველა ასპექტის შეფასება ერთმნიშვნელოვნად დღეს შეუძლებელიც კი არის. ვიზიტის შედეგებიდან ზოგი დღესვე გამოვლინდება, ზოგი ხვალ ან ერთი თვის შემდეგ, ზოგი კი წლების შემდეგ. სავსებით სამართლიანია გამოთქმა, რომ პოლიტიკა, ისევე როგორც ცხოვრება, პროცესია. საბოლოო შედეგებზე საუბარი და მათი შეფასება შესაძლებელი იქნება გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც შეთანხმებანი რეალურად ცხოვრებაში შეისხამენ ხორცს. დღეს უკვე ნათელი და აშკარაა ვიზიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე, როდესაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო და პატარა ქვეყანა ამყარებენ თანასწორუფლებიან, პარტნიორულ ურთიერთობებს. ე.ი. მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ძვრები, სულ უფრო აქტიური ხდება პატარა სახელმწიფოების როლი მსოფლიო-გლობალური პრობლემების მოწესრიგებაში. პოლიტიკოსებმა უკვე გაითავისეს ის აზრი, რომ ამის გარეშე ნებისმიერი გლობალური პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება და ეს თავისთავად უკვე გარკვეული მიღწევაა.

ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანა და სისხლისხლეთ, ეკონომიკური სიძნელეებით გაწამებული საქართველო... შეიძლება მათი პარტნიორებად წარმოდგენა?! გავიხსენოთ ისტორია.

ამერიკის შეერთებული შტატები, კლასიკური დემოკრატიის ქვეყანა, ორასი წლის წინათ იდგა დემოკრატიის იმ კარიბჭესთან, რომელიც გაბედულად შეაღო დღეს მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა ქვეყანამ, საქართველომ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორასი წლის წინანდელი ამერიკის მოსახლეობა დაახლოებით სამი მილიონი იყო, მან ის-ის იყო თავი დააღწია დიდი ბრიტანეთის კოლონიალურ ბატონობას და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპის ქვეყნებს, მაგრამ სწორედ მაშინ შესძლო აშშ-მ მოქნილი და თვითმარეგულირებელი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას და აშშ-ს დღევანდელი ძლიერება მოუტანა.

საკუთარი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება დღეს საქართველოს ამოცანაა, თანაც არა უბრალო მიბაძვით, არამედ შემოქმედებითი მიდგომით, როდესაც მსოფლიო პოლიტიკური აზრის მიღწევები ორგანულად შეერწყმის ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებასა და დღევანდელ რეალობას. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოს ცალკეული კონსტრუქციები უკვე აქვს, ახლა საჭიროა მათგან მკვიდრი შენობის აწყობა, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა ერქმევა და იგი დამყარებული იქნება არა ნება-სურვილზე, არამედ სამართლებრივ ნორმებზე და პოლიტიკურ ინსტიტუტზე. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია ახალგაზრდა კადრები, რომელთა მიზანი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობა და კეთილდღეობა იქნება, რომლებსაც ექნებათ სუფთა ხელები და თავისუფალი იქნებიან ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწისადმი ემოციური დამოკიდებულებისაგან. პრეზიდენტმა კლინტონმა თავის გამოსვლაში მეტად საინტერესო ფრაზა წარმოთქვა „ჩვენ მივესალმებით ახალგაზრდა პროგრესული თაობის აქტიურ რაზმს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში". ახალგაზრდამ შეიძლება შეცდომა და[illegible] შეცდომის გამოსწორება შეიძლება. საშიში ის უფროა, როცა „გამოცდილი" ადამიანები წინასწარგანზრახულ ბოროტებას სჩადიან საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

პრეზიდენტებმა კმაყოფილებით აღნიშნეს აშშ-ს მიერ შეტანილი ტექნიკური და ჰუმანიტარული წვლილი საქართველოში რეფორმების განხორციელების საქმეში. პრეზიდენტმა კლინტონმა აღუთქვა საქართველოს რეფორმებისათვის ქმედითი დახმარების გაწევა. მან კვლავაც დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და აფხაზეთის ტრაგიკული კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოწესრიგებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტებმა მოუწოდეს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი გაფართოებული თანამშრომლობისაკენ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ახალ ევროპულ უსაფრთხოების სტრუქტურებში. პრეზიდენტები შეთანხმდნენ აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების აუცილებლობის, მათ შორის, ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე. დადებითად შეფასდა საქართველოს ძალისხმევა კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების საქმეში. ყურადღება გაამახვილეს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნისადმი დამოკიდებულებაზე და აღნიშნეს ამ პროექტის სასიცოცხლო მნიშვნელობა არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. „ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს და მთლიანად კავკასიის ახალ სატრანზიტო ფუნქციას" — განაცხადა ბილ კლინტონმა. საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შეფასებისას კი აღნიშნა, „ჩვენ სასიამოვნოდ გვაოცებს საქართველოში მიღწეული სტაბილურობა, მისი დემოკრატიული განვითარება".

პრეზიდენტ ე.შევარდნაძის ვიზიტით აშშ-ში გაცხადდა, რომ დღეს მსოფლიოში ძალთა და ინტერესთა ახალი ბალანსი ჩამოყალიბდა. კავკასიის ნავთობი, ცენტრალური აზიის ბუნებრივი სიმდიდრე და ენერგომატარებლები, ევრაზიის დერეფანი და მასთან დაკავშირებული ტვირთბრუნვის პერსპექტივები უკვე იქცა აშშ-ის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად, და ეს განსაზღვრავს მის ჩაბმას რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, ხოლო საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობითა და მნიშვნელობით ამერიკის ინტერესების სფეროში აღმოჩნდა.

---

## კონგრესი

ევროპელმა სოციალისტებმა, რომელთათვისაც მიუღებელია ყოველგვარი ექსტრემიზმი, შესძლეს ეხსნათ ევროპა როგორც ველური კაპიტალიზმის, ისე ტოტალიტარული, საბჭოთა სოციალიზმისაგან, შეურწყეს ერთმანეთს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და სოციალური სამართლიანობა. პრაქტიკულად, მესამე ათასწლეულის მიჯნაზე მთელმა ევროპამ სოციალისტური არჩევანი გააკეთა.

# სოციალიზმის იდეების დასამარებას ვერავინ შესძლებს

## ანუ ამაოდ დახდილი ფეხსაცმელები

დრო, ალბათ, ყველაზე უკეთესად გასცემს პასუხს, შესძლებს თუ არა ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი შვედური, ინგლისური, ფრანგული... სოციალიზმის მსგავსი სოციალიზმის აშენებას საქართველოში, დღეს კი ფაქტია, სოციალისტური პარტიის ლიდერი თანდათან ახალ-ახალ ძალებს იკრებს და პარტიის რიგებს აფართოებს. საქართველოს სოციალისტური პარტიის მეორე რიგგარეშე კონგრესმა ოფიციალურად გააფორმა საქართველოს შრომის პარტიისა და პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ქალები არჩევნებისათვის" სოციალისტურ პარტიაში გაერთიანება. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 778 დელეგატი.

„ჩვენ არ გვიძებნია ის ქოლგა, რომელსაც ცუდ ამინდში შევეფარებოდით, ჩვენ ვეძებდით სტრატეგიულ პარტნიორს... ქალისათვის ყველაზე უკეთაა გასაგები სოციალისტური იდეები, ევროპული სოციალიზმის იდეოლოგია", — აცხადებს „საქართველოს ქალები არჩევნებისათვის" თავმჯდომარე ნანა დევდარიანი, ხოლო შრომის პარტიის თავმჯდომარე გრიგოლ ოხიანი მყარად დგას თავის პოზიციაზე, რომ „სოციალიზმის მიერ აშენებული საქართველოს დანგრევას ამაოდ ცდილობენ ყალბი ყვავილებით მკერდდამშვენებული ფსევდო-პოლიტიკოსები. როგორც მზის სიკაშკაშეს ვერ დაფარავ ხელებით, ისე შეუძლებელია სოციალისტური იდეების დასამარება".

პარტიების გაერთიანება არ არის რომელიმე ძალის წინააღმდეგ მიმართული. ეს არის საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი რეალური გზა, რომელიც აადორძინებს ქვეყანას. ჩვენ ერთად უნდა დავძლიოთ სიღატაკე და თავიდან ავიცილოთ ქვეყანაში მოსალოდნელი მონობის ბაზარი — აღინიშნა სოციალისტური პარტიის გაერთიანებულ კონგრესზე. კონგრესის დაწყებამდე კი ჟურნალისტები სამხატვრო სალონში ქართველი მეწარმეების მიერ მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაზე მიგვიწვიეს. როგორც გაირკვა, გამოფენა-გაყიდვას სოციალისტური პარტია აფინანსებდა. საერთოდ, ცნობილია, რომ ვ.რჩეულიშვილი მეწარმეობის აქტიურ მხარდამჭერად გვევლინება. იგი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ პირობად ტრადიციული თბილისური ხელოსნობის აღდგენას თვლის, „ამქრებმა დემოკრატია შექმნესო ევროპაში". — აცხადებს და ამქრების ინსტიტუტის აღდგენას აპირებს.

გამოფენა-გაყიდვაზე რამდენიმე სახის თითო წყვილი ქალის ფეხსაცმელი იყო წარმოდგენილი, აგრეთვე, ვერცხლის ნაკეთობები... გრიგოლ ოხიანმა საჩუქრად იქვე უყიდა ნანა დევდარიანს 25 ლარიანი ფეხსაცმელი, ქართველი მეწარმეების მიერ შეკერილი ფეხსაცმლით ივლის ქალბატონი მაია კურკალიშვილიც — ვახტანგ რჩეულიშვილის მეუღლე... აი, ჟურნალისტებს კი ნამდვილად გაგვიცრუვდა იმედი, ჩვენს დასაჩუქრებას არავინ აპირებდა, ჩვენ კი, რა ვიცოდით, კონგრესზე მისულები გამოფენა-გაყიდვაზე თუ აღმოვჩნდებოდით, ფული მაინც რომ ჩაგვედო ჯიბეში (თუკი გვექნებოდა, რა თქმა უნდა)... ეს ისე, ახლა, მიდით, ისევ კონგრესის მუშაობას დავუბრუნდეთ.

თავის მოხსენებაში ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ვრცლად მიმოიხილა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პროცესები, გამოკვეთა როგორც შეცდომები, ისე ხელისუფლების მიღწევები ბოლო წლების მანძილზე. მთავარ შეცდომად კი ხელისუფლების მიერ მემარჯვენე ეკონომიკური კურსის არჩევა მიიჩნია. მისი აზრით, მმართველი პარტია იგივეს აკეთებს, რამაც თავის დროზე პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო დაღუპა.

ევროპული ყაიდის ქართველი სოციალისტებისათვის მთავარია საქართველოში დამკვიდრდეს ზომიერება, როგორც პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უზენაესი პრინციპი.

სოციალისტური პარტია ხელისუფლებისაგან მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას. გაერთიანებული სოციალისტური პარტია ოპოზიციურია იმ გაგებით, რომ ხელისუფლებას წარუდგენს ქვეყნის განვითარების ალტერნატიულ რეალურ პროგრამას.

კონგრესმა დაამტკიცა საქართველოს სოციალისტური პარტიის ემბლემა — საქართველოს რუქის ნაცრისფერ კონტურში ჩასმული წითელი ვარდი ხუთი მწვანე ფოთლით და აირჩია მმართველი ორგანოები.

**თამარ ოთიაშვილი**

---

## ინფორმაცია

# ახლებურად აზროვნების მექანიზმი

თაობათა კონსოლიდაცია — აი, რას ისახავს უპირველეს მიზნად ინდუსტრიულ-პედაგოგიურ კოლეჯში შექმნილი ახალგაზრდული სალონი „21"-ე, რომლის თამამმა იდეებმა გააღიზიანა ზოგიერთი, რადგან პროგრესული სალონი მუდამ ებრძვის რუტინას და სახეზეა შედეგიც.

ამ სალონის ირგვლივ შემოკრებილია ყველა, ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანი, ვისაც უნდა ახლებურად იაზროვნოს და თავისი წვლილი შეიტანოს ღია საზოგადოების შექმნაში.

აპოლიტიკური ღია საზოგადოება — ეს არის ამ სალონის შექმნის თავდაპირველი მიზეზი და საწყისი წერტილი.

— საზღვარგარეთ უკვე არსებობს ჯორჯ სოროსის ფონდი „ღია საზოგადოების" სახით. მისგან განსხვავებით ქართველი ახალგაზრდების მიერ შექმნილი საზოგადოება ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებას და უცხო გავლენის შემოჭრისაგან თავის დაცვასაც, მაგრამ ამავე დროს ეს არ ნიშნავს ვიწრო მიკროსამყაროს შექმნას, არამედ სხვადასხვა პროგრესულ იდეებს უნდა გაუხსნას გზა, რაც ხელს შეუწყობს პიროვნულ „მეს" წინ წამოწევას, ინდივიდის თავისუფალ აზროვნებას და მის შემდგომ ევოლუციას, რომ ქართველმა ადამიანმა შეძლოს დროჭამისგან [illegible] კომპლექსების მოხსნა, და გათავისუფლდეს დახავსებული შეხედულებებისაგან, რაც მოხდება თანდათან — თვითაღზრდისა და საკუთარ შესაძლებლობებში ჩაღრმავების გზით — ამბობს კოლეჯის პედაგოგი [illegible], რომელიც ამ სალონის სულისჩამდგმელია, [illegible] მახალდიანთან ერთად.

წინ რთული თვითშემეცნების გზაა, ინდუსტრიულ-პედაგოგიური კოლეჯის საინიციატივო ჯგუფი ამჟამად მუშაობს საზოგადოების დებულებისა და წესდების შექმნაზე.

შემდეგი ეტაპია — იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაცია და საზოგადოებას კანონიერი არსებობის ყველა უფლება ექნება.

**მიმოზა კვირკვია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიახლე

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რომ ან ინფორმაციის საოცარ შიმშილს განიცდის, ან გულგრილია საბაზრო ეკონომიკით დანერგილი ყველა სიახლის მიმართ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით... „ – იცით თუ არა, რომ საქართველოში უკვე თვეზე მეტია მოქმედებს უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება – ელექტრონული ფული „ ჯორჯიან კარდი“? ამ კითხვით მივმართეთ ორმოცამდე ადამიანს ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილას (მეტროს შესასვლელთან). წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა გამოკითხულთა შორის ამ სიახლით ინფორმირებული.

# საქართველოშიაც შეგიძლიათ... „ივაჭროთ უფულოდ“ ...

პლასტიკური ბარათებით – „ელექტრონული ფულით“ ანუ „უფულოდ ვაჭრობა“ მსოფლიოს ნებისმიერ განვითარებულ ქვეყნებში 50-იანი წლების ბოლოდან მოქმედებს. თითქმის არავინ დაატარებს ჯიბით ნაღდ ფულს. უნაღდო ანგარიშსწორების ეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი თითოეული მოქალაქისათვის საბანკო კრედიტის მიღების უტყუარი საშუალებაა. მსოფლიოში ასეთი ბარათებით 2 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს.

საქართველოში მისი მიმოქცევაში შემოსვლა საქართველოს ბანკის მიერ მოწყობილ სადღესასწაულო პრეზენტაციით მიმდინარე წლის 22 მაისს აღინიშნა. „ჯორჯიან კარდის“ დაბადების დღეს ზეიმობდნენ საქართველოს პარლამენტართა წარმომადგენლები, საფრანგეთის, ისრაელის, ჩინეთის, რუსეთის, უკრაინის ელჩები, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს სიახლე ფრანგული (ემიგრანტი ქართველების) მიერ ჩამოყალიბებული ფირმა „იმედის“ და „საქართველოს ბანკის“ საერთო პირმშოა. პირველი ქართული პლასტიკური ბარათი ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს სენატში გადასცა ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს – ფირმა „იმედის“ პრეზიდენტმა გია ცნობილაძემ.

ქართულ პრეზენტაციაზე პირველი პლასტიკური ბარათები გადაეცა 20 ადამიანს, მის მფლობელთა რიცხვი დღემდე 500-მდე გაიზარდა. „ელექტრონული ფულის“ საწყისი ღირებულება 15 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურია, მფლობელის ანგარიშზე სისტემატურად უნდა რჩებოდეს ნაშთი 40 ლარი (პირველი ღირებულების რაოდენობა), წლიური მომსახურებისათვის დაწესებულია გადასახდელი 25 დოლარი, რომელიც მოქალაქეს შეუძლია ან ერთბაშად, წინასწარ გადაიხადოს, ან მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს.

მოქალაქე ან ორგანიზაცია მიმართავს ბანკს განცხადებით, გადამოწმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება და მფლობელს გადაეცემა პლასტიკური ბარათი, რომლითაც მას შესაძლებლობა აქვს ივაჭროს საქართველოს (ჯერჯერობით) 180 ობიექტში; (სუპერმარკეტებში, ქიმწმენდაში, სასტუმროებში, რესტორნებში და ა.შ.). ბარათის მფლობელს მიეწოდება სპეციალური ბუკლეტი, სადაც აღნიშნულია მომსახურე ობიექტების ვაჭრობის დრო, მისამართი და ტელეფონები... მაგალითად, უნივერმაღ „თბილისში“ ასეთი წესით მოვაჭრე მოქალაქეს ერიცხება გასაყიდი საქონლის ღირებულების 4 პროცენტი ფასდაკლება (100 ლარის ღირებულებამდე საქონელზე), ხოლო უფრო დიდი ღირებულებისაზე კი უფრო დიდი პროცენტით ფასდაკლება. ბარათი სამი ტიპისაა:

Georgian Card Classic,
Georgian Card Business,
Georgian Card Gold;

ჯერჯერობით მესამე ტიპის ბარათი Georgian Card Gold, ანუ „ოქროს ბარათი“ საქართველოში არ გაცემულა. მისი ღირებულების მინიმუმი აითვლება 20000 ლარიდან.

მეორე ტიპის ბარათები ფორმდება არა კერძო პირებზე, არამედ ორგანიზაციებზე.

- პირველი პირის ბარათების შეძენა საქართველოს ნებისმიერ ინდივიდუალურ პიროვნებას შეუძლია, მისი ღირებულება 40-ლარიდან 20000 ლარამდე აითვლება.

ბარათის ღირებულების მაქსიმალური ზღვარი არ არსებობს. „ელექტრონული ფულით“ სარგებლობა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

**ნატა სალუქვაძე,**
ჩვენი ეკონომიკური მიმომხილველი.

ექო

*რისთვის და ვისთვისაა ყველაფერი ეს დაწერილი, ანუ ძალიან უბრალოდ რომ ვთქვათ, წერილი რედაქციას*

*ორ დღეს გასტანა საქართველოს პრეზიდენტის, სახელმწიფო მინისტრის შეხვედრამ ქვეყნის სამართალდამცავებთან, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ხელმძღვანელებთან, ამ დიდ შეხვედრაზე შეჯამდა ამა წლის ექვსი თვის შედეგები, დაისახა სამომავლო გეგმები, მაგრამ...*

*ეს წერილი რიგითმა მკითხველმა, იურისტმა გამოგვიგზავნა რედაქციაში. იგი კარგადაა ჩახედული იმ სამზარეულოში, სადაც ჩვენი ელიტა იხარშება ამიტომაც ფსევდონიმი ირჩია და მოერიდა ამჯერად ვინაობის გამხელას მაგრამ ვფიქრობთ, საინტერესო პრობლემა წამოჭრა. პრობლემა, რომელიც წინათაც იყო, მაგრამ დღეს?*

*წაიკითხეთ ეს წერილი. ჩვენ მის კომენტარს არც ვაპირებთ, ჩვენ უბრალოდ ვსვამთ კითხვას – როდემდე? იქნება ეს შეხვედრა და მასზე პრეზიდენტის უმნიშვნელოვანესი და უმწვავესი შეფასებები გახდეს ათვლის წერტილი. როგორც იტყვიან „აღდგომა და ხვალეო“...*

კომუნისტების პერიოდში უკანონობის ჩამდენი ცდილობდა, ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებში არაფერი შეეტყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განწირული იყო. თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აიცდენდა, მორალურად მაინც დაისჯებოდა, რაც მისი კარიერის დასასრულს მოასწავებდა. ხ[illegible]ისუფლების ასეთი მიდგომა საკითხისადმი ამყარებდა წესრიგს, ადამიანურ დამოკიდებულებას და თანასწორობას მოქალაქეთა შორის. დღეს, სამწუხაროდ, საპირისპირო რამ ხდება – დარღვეულია ყოველგვარი თანასწორობა.

მაგალითისათვის – დღეს არაჯანსაღი დანაშაულობებიდან ერთ-ერთ ძირითად გავრცელებულ დანაშაულის სახეს წარმოადგენს ბოროტი ხულიგნობა და ამ დანაშაულის დიდ უმრავლესობას სჩადიან სწორედ ფულიანი და გავლენიანი ნასვამი პირები. გამოფხიზლების შემდეგ, მე შენ გეტყვი, კომუნისტების დროინდელი შიშითა და რიდით შეეცდებიან, ნამოქმედარი არ გაახმაურონ. ნურას უკაცრავად. როგორც კი გონს მოვლენ და მიხვდებიან, რომ დანაშაული აქვთ ჩადენილი, მეტწილად დაგემუქრებიან კიდეც. ეს როგორ მაკადრეთ და პოლიციაში წარმომადგინეთო, ეხლავე ზემოდან დაგირეკავენ და გამათავისუფლეთო. შედარებით ზომიერი კი შეგეკითხება, როგორ ჯობია, მინისტრს დავარეკინო, პროკურორს თუ სახელმწიფო კანცელარიიდანო. და, რა თქმა უნდა, ყველა მათგანი მიზანს სწორედ ზემდგომთა ზარების საშუალებით აღწევს.

ყველაზე დიდი უბედურება ის კი არ არის, რომ დანაშაულისათვის კაცი არ დაისაჯა, არამედ ის, რომ, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში კულმინაციას აღწევს „ჯუნგლის კანონის“ მოქმედება. ადამიანის ფსიქიკა ისეა ჩამოყალიბებული, რომ სჯერა – თუ ფულიანია ან დიდი მფარველი ჰყავს, დანაშაულის ჩადენისათვის არ დაისჯება. სამართალს უპირისპირდება მხოლოდ და მხოლოდ უფულო და უპატრონო პირი. არ იფიქროთ, რომ ეს ეხება მარტო ხულიგნებს. ეს ეხება ნებისმიერი კატეგორიის დამნაშავეებს, ქურდებს, ნარკომანებს, მძარცველებს და სხვას. და თუ სად მიგვიყვანს დღევანდელობა, ალბათ, მხოლოდ ღმერთმა იცის.

აქვე მინდა, შეგახსენოთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში წერია:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

რა კარგადაა დაწერილი არა?

მაგრამ, რისთვის და ვისთვისაა ყველაფერი ეს დაწერილი???

**სულიკო ღელციავა**

ახალი რაკურსი?

# ჩვენ კიდევ ექსპერიმენტები გვინდა?

ალბათ, გახსოვთ, გენური ინჟინერიით მიღებული კარტოფილის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენამ ერთი მხრივ, როგორი აღფრთოვანება , მეორე მხრივ კი, აღშფოთება გამოიწვია. აზრთა ურთიერთპერპენდიკულარული დამოკიდებულების მიზეზი მარტივი აღმოჩნდა – გაუმჯობესებული, ნაკლებადშრომატევადი, პროდუქტიული ახალი ჯიშის საქართველოში დამკვიდრება, ერთი შეხედვით, თითქოს კარგის მეტს არაფერს ამბობდა. უფრო მეტიც, ასეთი ჯიშის მცენარის მიღებას ადამიანის გონების კულმინაციურ წერტილადაც კი თვლიდნენ ერთნი, მეორენი კი პრობლემის სათავეს ვიზუალურად (და არა მარო ვიზუალურად) გაუმჯობესებული კარტოფილის მომავლის არაპროგნოზირებადობაში ხედავდნენ. რა იქნება ხვალ? რას გამოიწვევს ამ კარტოფილში ჩანერგილი გენის სხვა გენთან რეკომბინაცია? ახალი ჯიში ხომ არ გადააჯიშებს ჩვეულებრივ კარტოფილსაც? ხომ არ შეფერხდება ბუნებრივი ევოლუციური პროცესი? და რაც მთავარია, უარყოფით გავლენას ხომ არ მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე? ეს და სხვა უამრავი პასუხგაცემული თუ პასუხგაუცემელი კითხვა თავისდაუნებურად იქცა შიშის მიზეზად და არცთუ უსაფუძვლოდ. ამ ახალი ჯიშის კარტოფილის შესახებ ხომ ძალიან ცოტა რამ ვიცით და რადგან არ ვიცით, ესე იგი საქმე რისკთან გვაქვს. მაგრამ რისკის მიუხედავადაც საქართველოში ეს კარტოფილი რეალურად უკვე არსებობს, საკითხავია, რა ასპექტით და რა მდგომარეობით შემოიფარგლება მისი არსებობა? სად იწყება და სად მთავრდება მისი გავრცელების არეალი? მიაღწია თუ არა მოსახლეობამდე? და თუ ჯერ კიდევ არ მიაღწია, რა ბერკეტებმა შეაჩერა ეს, ერთი შეხედვით, თითქოს შეუქცევადი პროცესი? რა ბედი ეწია იმ 600 ტონა კარტოფილს, რომელიც წალკის ტერიტორიაზე მოიყვანეს?

ეს კარტოფილი საწყობში დალუქეს. ნაწილი განადგურდა, დარჩენილი მასა კი მიწისქვეშაა მოქცეული – ამბობს სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე პეტრე ნასყიდაშვილი და აქვე აღნიშნავს – პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე გენური ინჟინერიით მიღებული, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კარტოფილის ეს ჯიშები მთლიანად კონცენტრირებულია წალკისა და ახალციხის რაიონებში როგორც საკონკურსო, ასევე საწარმოო გამოცდის სახით. რომლის ზედამხედველობა დაევალა სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის სახელმწიფო კომისიას. გამოცდის პროცესში, რომელიც დაახლოებით სამ წელს გაგრძელდება, არსებული მეთოდიკის საფუძველზე მეცნიერულად შეისწავლება და დადგინდება ამ მეთოდით მიღებული კარტოფილის სამეურნეო ვარგისიანობა, რაშიც მისი მოსავლიანობა, გენური ხარისხი, დაავადებისადმი გამძლეობა, ჩვენს პირობებში მისი ადაპტაციის უნარი იგულისხმება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი საქართველოს პირობებში მის ვარგისიანობა-არავარგისიანობაზე და საერთოდ, დაუშვებელია შეუსწავლელად ნებისმიერი ჯიშის მცენარის წარმოებაში შეტანა — ამბობს ბატონი პეტრე და მართალია, საბოლოო და ზუსტ პასუხს მხოლოდ გამოცდის შემდეგ გვპირდება, მაგრამ დღემდე ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე-არსებულ მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით ბატონი სელექციონერი გენური ინჟინერიით მიღებული კარტოფილის საქართველოში შემოტანაში არათუ საფრთხეს, საფრთხის მიზეზსაც კი ვერ ხედავს და თამამად ცდილობს მათი აზრის გაბათილებას, რომლებიც თვლიან, რომ მცენარის უარყოფითმა ასპექტებმა შეიძლება რამოდენიმე თაობის შემდეგ იჩინოს თავი. ეს გამორიცხულია – ამბობს პეტრე ნასყიდაშვილი – თაობების შემდეგ როგორ შეიძლება გამოვლინდეს უარყოფითი თვისებები, როცა მეთერთმეტე თაობაში გენი საერთოდ იკარგება კიდეც. რაც შეეხება ჩვეულებრივი კარტოფილის გადაჯიშების პრობლემას, ესეც უსაფუძვლოა ამ უბრალო მიზეზის გამო, რომ კარტოფილი თვიდამტვერიანებული მცენარეა. გადაჯიშების საფრთხე შეიძლება სიმინდის შემთხვევაში არსებობდეს, კარტოფილზე ეს შეუძლებელია.

მოკლედ, საგამოცდოდ რეალიზებული მცენარის მეთვალყურე და კონტროლიორი ყველა ვერსიას, რომელიც გენური ინჟინერიით მიღებული კარტოფილის უარყოფით ფაქტორს ეხება, აბათილებს. გაბათილების საფუძვლიანობაზე რა მოგახსენოთ, ერთი კი ცხადია, – ყველფერს რომ თავი დავანებოთ, საფრთხის მიზეზი თუნდაც ალბათობასა და არაპროგნოზირებადობაში იმალება. არ ვიცით და ვდავობთ. არ ვიცით და ვიცავთ, არ ვიცით და... საფრთხეც იქნებ სწორედ იმაშია, რომ არ ვიცით და მაინც ვამტკიცებთ. ალბათობაზე დაყრდნობილი მტკიცება ხომ თავისთავად უსაფუძვლოა. და რადგან უკვე გადადგმული ნაბიჯის უკან დაბრუნება შეუძლებელია, მაშინ სჯობს დაველოდოთ, შევისწავლოთ, გავეცნოთ და დადებით-უარყოფით ასპექტებზე მხოლოდ შემდეგ ვილაპარაკოთ, თუმცა...

ჩვენ კიდევ ექსპერიმენტები გვჭირდება?

**ნონა ბურნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიცია

# რატომ გადაიდო დევნილთა ყრილობა?

## ამის შესახებ თავიანთ მოსაზრებას გვიზიარებენ პარლამენტარები გერმანე ფაცაცია და ბორის კაკუბავა

25-26 ივლისს დანიშნული დევნილთა საყოველთაო ყრილობა საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით 8-9 აგვისტოს გაიმართება. ყრილობას დევნილთა საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთი პროცენტი დაესწრება. არჩეულია 3.000 დელეგატი, რომლებიც მოითხოვენ რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას აფხაზეთიდან, 31 ივლისი კი კარს მოგვადგა. ყრილობის გადადების მიზეზებზე აფხაზეთის პროცესში დაწყებული ახალი ეტაპის შეფასებაზე თავისი აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საკოორდინაციო საბჭოს წევრს, ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარეს გერმანე ფაცაციას და პარლამენტარ ბორის კაკუბავას.

გერმანე ფაცაცია: ისევე როგორც ყრილობის მოწვევას არაერთი მიზეზი გააჩნდა, ასევეა მისი გადადების შემთხვევაშიც. თუ მიზეზთა თანაფარდობიდან ამოვალთ, გაცილებით მეტი მიზეზი ყრილობის ჩატარებას აქვს. მდგომარეობა ძველ რეჟიმში რჩება. ტერიტორიები მოკვეთილია. მკვეთრად შეიცვალა საერთაშორისო გარემო, რაშიც უწინარესად ვგულისხმობ იმას, რომ აფხაზეთის თემა ახალ ფაზაში შედის, რომელიც ძირითადად გამოწვეული იყო პრეზიდენტის ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოს მეგობარ სახელმწიფოთა ინიციატივით, რომელიც ჟენევის უკვე ჩაშლილ შეხვედრაზე შეიძლება ითქვას. უსარგებლო იქნება მეგობარი ქვეყნების ინიციატივები. ამაში ჟენევის პროცესის დაწყებაც იგულისხმება. როგორც გასული ოთხი წელიწადი იყო უშედეგო, ეს ახალი ეტაპიც არ მოგვიტანს შედეგს პრობლემის ინტერნაციონალიზაციით. ჩვენ ვქმნით ილუზიას, რომ აფხაზეთის საკითხი არ არის მარტოოდენ საქართველოს საშინაო საკითხი და იმ რეჟიმში ვხვამთ, რომ იგი გაუთავებელ-მოუგვარებელი იქნება. ამასობაში კი შეიძლება მიტაცებული ტერიტორიებიც იურიდიულად დამტკიცდეს.

ახალი ინიციატივის მიღწევად მიგვაჩნია 23 ივლისს ჟენევაში საქართველოს მეგობარი ქვეყნების მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აფხაზეთში დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს, პატივს სცემენ ადამიანთა უფლებებს, ერთამორისურთიერთობებს. ასეთი რამის განცხადება სეპარატისტებსაც კი არ უკადრებიათ. ჩვენი წარმომადგენლები კი, რომლებიც დევნილ აფხაზეთს წარმოადგენდნენ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, თუ ჟენევაში დაჩრებიან და იქ განაგრძობენ დევნილობას.

ამგვარი პოლიტიკა გაგრძელდება 31 ივლისის შემდეგაც. ჟამთა აღმწერლობა აფხაზეთთან დაკავშირებით დაიწყება 32,33-ით და არასოდეს პირველით. ამდენად რუსები დარჩებიან უკანონო რეჟიმში, კანონგარეშე, მათ არ გაუგრძელდებათ ვადა და თუ არ გავლენ აფხაზეთიდან, მიენიჭებათ სათანადო სტატუსი, რომელსაც ჩვენ კი არა, თვითონ მიანიჭებენ. ღირსების მატარებელმა სახელმწიფომ მათ მიმართ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი. დევნილთა ყრილობა ყოველივე ამის კონსტატაციას მოახდენს.

ბორის კაკუბავა: 25-26 ივლისისათვის ყრილობაზე ერთი საკითხის განხილვა იყო დაგეგმილი. ახლა შეიძლება სხვა საკითხებიც დაემატოს, რომლის შესახებ წინასწარ არ ვიტყვით. კაკუბავას თქმით, აფხაზეთიდან ყველა დევნილი არის ერთიანი. დეპუტატს, პარლამენტარს და მათხოვარსაც ყველას სურს გაერთიანდეს საკოორდინაციო საბჭოს ირგვლივ, ერთი სახურავის ქვეშ და მათ უნდა უხელმძღვანელოს ერთმა პიროვნებამ. ნურავის ჰგონია, რომ ჩვენ ჯაბებს, კიტოვანებს და იმ სამხედრო წარმომადგენლებს, რომლებსაც რუსის „პროპორშჩიკის" ჩინი ჰქონდათ და საქართველოში გენერლები გახდნენ, მივცემთ აფხაზეთის ჩხრეკის უფლებას. ჩვენ შევძლებთ მთელი ხელმძღვანელობის ერთი კაცის ხელში მოქცევას. რაც შეეხება პარტიზანულ მოძრაობას და „თეთრ ლეგიონს", ისინი პრესა-ტელევიზიით არ უნდა აცნობდნენ თავიანთი მოქმედების გეგმებს. პარტიზანულ მოძრაობას უნდა უხელმძღვანელოს ერთმა პიროვნებამ, აფხაზეთიდან დევნილმა და იმ პიროვნების განკარგულებით განისაზღვრება – რა ბილიკით ივლის პარტიზანი თუ უიარაღო აფხაზეთში. აქვე მინდა, კატეგორიულად განვაცხადო ერთიც, რომ ჩვენ არ დავუშვებთ გაერთიანებული სამხედრო კონტინგენტის შესვლას აფხაზეთში.





კომენტარი

# უნდა განეიტრალდეს აფხაზების უკან მდგარი ძალა

უკანასკნელ ხანს პრესაში გამოჟონა აზრმა, რომლის მიხედვით თბილისში განლაგებული აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება არალეგიტიმურია და მხოლოდ სიმბოლური. ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ვახტანგ ყოლბაიას: – თუ ვინმე თვლის, რომ არძინბას ხელისუფლება ლეგიტიმურია, განაცხადა ბატონმა ვახტანგმა, ის უნებლიედ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომ დევნილი მოსახლეობის გარეშე ჩატარებული არჩევნები არის კანონგარეშე. ევროპის დეკლარაციამ, ეუთოს ასამბლეამ, უშიშროების საბჭოს განცხადებებმა, ევროსაბჭომ ამის თაობაზე გამოხატეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება. თუ არძინბას ხელისუფლების ლეგიტიმურობაში გულისხმობენ 1991 წლის არჩევნების შედეგად არჩეულ ხელისუფლებას, მაშინ თბილისში განთავსებული დევნილი ხელისუფლება მით უმეტეს ლეგიტიმურია.

ჟენევაში საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ქართულ-აფხაზური შეხვედრების მიმდინარეობას ბატონმა ვახტანგმა ჯერჯერობით უშედეგო უწოდა. მისი თქმით, სანამ არ განეიტრალდება ის ძალა, ვინც აფხაზების უკან დგას, მანამ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე და რაიმე პროგრესზე საუბარი აბსურდია: თუმცა, არა ვარ წინააღმდეგი მოლაპარაკებებისა, ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ პირთან.

**საკუთარი ინფორმაცია.**





კომენტარი

# ყავარჯნიანი პარტიზანი რუსეთის სპეცსამსახურის აგენტი?

აფხაზეთის უშიშროების სამსახურმა რამდენიმე ხნის წინათ იარაღის უკანონოდ ტარების მოტივით დააკავა გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკი, გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი, ერთ-ერთი პარტიზანული დაჯგუფების მეთაური სლავა უბირია. წინასწარი გამოძიებით, მას ბრალად ედება რუსეთის სპეცსამსახურების ჯაშუშობა. მიმდინარეობს გამოძიება. პარლამენტარ ბორის კაკუბავას თქმით, – ვინც სლავა უბირიას აგენტობა დასწამა, ის თვითონ არის რუსეთის აგენტი. უშიშროების სპეცსამსახურში მდგარი ოფიცრები, რომელთაც მინისტრს აღრე რუსეთი უნიშნავდა, არიან რუსეთის ფედერაციის კოლექტიური აგენტები. კაკუბავას ლახასიათებით, უბირიამ აფხაზეთში მთელი ოჯახით იომა, ცალფეხა კაცი ბოლომდე იცავდა სოხუმს და როცა თბილისის სახელგანთქმულ დივიზიებს სირბილით ხვანეთი გადალახული ჰქონდათ, უბირია ყავარჯნებზე იდგა და ხიდზე ხალხს იცავდა.

**ბრიგიტა შიუკაშვილი**

ხედვა

# მხოლოდ ჯანსაღ ადამიანებს შეუძლიათ კონფლიქტის მოგვარება

ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი – ასე უწოდებენ 1996 წელს ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ძირითადად ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დაფინანსების წყალობით არსებობს, ფონდი, რომლის თავმჯდომარეც ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველაძეა, არცთუ ისე მოკლე პერიოდის მანძილზე სისტემატურად აწარმოებდა სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს ტრავმირებული, დევნილი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობის არა მარტო შესწავლის, არამედ გაჯანსაღების მიზნითაც დევიზით – მხოლოდ ჯანსაღი ადამიანები შეძლებენ კონფლიქტის მოგვარებას.

გამოკვლევამ კი, ანუ 4000-ზე მეტ დევნილთან ურთიერთობამ ათასნაირი სტრესით დაავადებულ ადამიანთა მძიმე სურათი გამოავლინა. არანაკლებ მძიმე ამგვარ ტრავმირებულთა რიცხვის ზრდის აშკარა ტენდენცია აღმოჩნდა. ყველაფერთან ერთად პოსტტრავმული სტრესის თაობიდან თაობაში გადასვლის მეცნიერულად გამყარებულ აზრსაც თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება კომენტარიც კი ზედმეტი გამოდგეს, თუმცა ამგვარი სურათის დაფიქსირება მოულოდნელი არცაა. სტრესი ხომ ჩვენი ყოველდღიურობის არასასურველი და საკმაოდ ხშირი სტუმარი გახდა. მაგრამ ჩვენ საერთო და კერძო სიტუაციებიდან გამომდინარე სტრესებზე კი არა, მხოლოდ დევნილობის მიზეზით წარმოქმნილი ფსიქოლოგიური გაუწონასწორებლობის სიმპტომებზე მოგახსენებთ, რომლის წინააღმდეგაც თავგამოდებით იბრძვის ადამიანის რესურსების გაჯანსაღების ფონდი. მისი ძირითადი აქცენტი მოზარდ თაობაში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ არასასურველი სიმპტომების დროულად განადგურების საკითხზეა გადატანილი. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯთა რიცხვში ნოდარ სარჯველაძის ინიციატივით მოწყობილი თსი და დევნილი ქართველი ბავშვების შეხვედრაც აღმოჩნდა.

– შეხვედრის ძირითადი მიზანი მათ დაახლოებასთან ერთად იმ ჩვევების გამომუშავება იყო, რომლებსაც დღესდღეობით დაპირისპირებულ მხარეთა შორის ახალი ტიპის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ძალუძთ. მათი სახით ჩვენ იმ ბირთვის შექმნას ვცდილობთ, რომელიც შეძლებს პრობლემებზე შეტევას ტვინით, ანუ რეალურ კამათს საჭირბოროტო საკითხებზე – ამბობს ბატონი ნოდარი და ამ გამოცდილების განვრცობას ქართველი და აფხაზი ბავშვების დაახლოების მიზნითაც გეპირდება, თუმცა ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის საქმიანობა დევნილთა სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა-გაჯანსაღების მიმართულებით მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. დევნილთა ცნობიერებაში არსებული მტრის ხატის ჩამოხსნა, რომელიც თავისდაუნებურად მსხვერპლის ხატის სინდრომსაც გულისხმობს, ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძის მიერ დევნილთა ფსიქოლოგიური გაწონასწორების მიზნით გადადგმულ ნაბიჯთა რიცხვში აღმოჩნდა. ფონდის მესვეურნი მტრის ხატის და, აქედან გამომდინარე, მსხვერპლის ხატის ანუ ვიქტიმიზაციის სინდრომის არსებობაში სერიოზულ პრობლემას ხედავენ, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ შეიძლება საკმაოდ არასასურველი შტრიხებით გამოვლინდეს.

მტრის ხატის არსებობაზე რა მოგახსენოთ, მტრის, როგორც ასეთის, ნაკლებად აღქმამ კი თუ რა შედეგამდე მიგვიყვანა, მე მგონი, ახსნა-განმარტებების გარეშეც ნათელია.

რაც შეეხება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მოსაზრებებს უკან დაბრუნების გზებთან დაკავშირებით, როგორც ბატონმა ნოდარ სარჯველაძემ აღნიშნა, ლტოლვილთა საზოგადოებრივ აზრში არანაირი საყრდენის პოვნა არ შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც აფხაზეთში დაბრუნების ერთადერთ გზად ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას მიიჩნევენ.

– ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის კატეგორიულად მიუღებელია აფხაზეთში იარაღის ძალით დაბრუნებაზე ფიქრიც კი, რამეთუ ეს უცილობლად წარმოშობს ახალ ტრავმირებულ თაობას – ამბობს ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის თავმჯდომარე, თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია, რომელი ტრავმა უფრო ძლიერია – გაუთავებელი, გაურკვეველი, უშედეგო მოლაპარაკებების შედეგად მიღებული თუ პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტით გამოწვეული?

ერთი კი ცხადია – ადამიანის რესურსების გაჯანსაღების ფონდი დევნილთა ფსიქოლოგიური პრობლემების შესწავლა-მოწესრიგებით სიტუაციის გაჯანსაღებას ცდილობს. რამდენად წაადგება სიტუაციის ფსიქოლოგიური გაჯანსაღების პროცესი პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტას, საკითხავია, თუმცა ნაკლებად საკამათოა – ჯანსაღი სიტუაცია რომ პრობლემის ჯანსაღად გადაჭრის საწინდარია.

**ნონა ბურნაძე.**





ინფორმაცია

### 1 ლარი – 5 რუსული რუბლი

31 ივლისის მოახლოებასთან დაკავშირებით სეპარატისტებმა ენგური-ფსოუს მონაკვეთზე სამხედრო რეჟიმი დაამყარეს. „საქართველო-აფხაზეთის" საზღვარზე მოქალაქეთა მიმოსვლა გაჭირდა. თუმცა, თვითმხილველთა მტკიცებით, გამშვებ პუნქტზე ქრთამის სახით სიამოვნებით იღებენ ქართულ ლარებს, მათ შორის, გალსა და ოჩამჩირეშიც. აფხაზეთში ლარის კურსი ყველაზე მყარია – 5 რუსული რუბლი.

### ენგური ქართველებმა უნდა გააკონტროლონ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის თქმით, 31 ივლისის მოახლოებასთან დაკავშირებით შესაძლებელია 4 000 სამართალდამცავის გადასროლა ენგურის სანაპიროზე. ისინი ქართულ ეროვნულ პოლკებში შედიან და ის ხალხია, რომლებმაც 1993 წელს დატოვეს აფხაზეთი. თუ საქართველოს ხელისუფლება ამგვარ გადასროლაზე თანახმა იქნება, ისინი მზად არიან აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამშვიდობო ძალების ადგილი შეავსონ.

### აფხაზები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ

ვლადისლავ არძინბა უკმაყოფილოა მოლაპარაკებების შედეგებით. მან აფხაზური ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდით და არა ფართო ავტონომიისათვის.

თუ რუსეთის სამშვიდობო ძალებს მრავალეროვანი კონტინგენტი შეცვლის, მაშინ სავარაუდოა აფხაზეთის ორად გაყოფა, რისი მომხრეც დასავლეთია. ასეთ შემთხვევაში, რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ მდინარე ენგურის აღმოსავლეთ სანაპიროს აფხაზური ძალები დაიკავებენ, სერგეი ბაგაფშის განცხადებით, აიგება ორი დაცვითი ნაგებობა.

### აფხაზები კუთვნილ ბაზას არავის დაუთმობენ

ქ.ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო ბაზის დემონტაჟის გამო შექმნილი აჟიოტაჟი არ ცხრება. მიტინგები გრძელდება. გამოფენილია პლაკატები გენერალ ნიკოლაევის შეურაცხმყოფელი მოწოდებებით. სეპარატისტული მთავრობის განცხადებით, თუ სამხედრო-საზღვაო ბაზის დემონტაჟი არ შეწყდება, ძალოვანი მეთოდებით აღკვეთენ აფხაზეთის კუთვნილი ქონების გატანის მცდელობის ფაქტს.

### შეპირდნენ შემწეობის ანაზღაურებას

22 ივლისს აფხაზეთიდან დევნილებმა ზუგდიდში ბანკის წინ სამანქანო გზა გადაკეტეს. ისინი ითხოვდნენ ფულად დახმარებას, რომელიც მაისის თვიდან არ მიუღიათ. პოლიციამ მოინდომა მოპიკეტეთა დამლა, მაგრამ 50 დევნილმა მაინც შეაღწია ბანკში. მათ შეპირდნენ თვის ბოლოს შემწეობის ანაზღაურებას. ეს დევნილთა ის კატეგორია იყო, რომლებიც გადმოიდნენ გალის რაიონში და დროულად ვერ გამოცხადდნენ შემწეობის მისაღებად.

### ჭუბურხინჯში კვლავ შეხვდნენ

სამი კვირის მანძილზე ჩაშლილი შეხვედრების შემდეგ აფხაზური მხარე, როგორც იქნა, გამოცხადდა ყოველკვირეულ ორმხრივ შეხვედრაზე ს.ჭუბურხინჯში. სამაგიეროდ შეხვედრას გაეროსა და რუსეთის მშვიდობისმყოფელები არ დასწრებიან.

### რუსი ჯარისკაცები დაკარგულ ავტომატს ზუგდიდში ეძებენ

ალკოჰოლის ძლიერ ზემოქმედებაში მყოფმა რუსმა მშვიდობისმყოფელებმა ზუგდიდში ქალაქის ცენტრალური ქუჩა ბრონეტრანსპორტიორით გადაკეტეს. ისინი მანქანებს აჩერებდნენ და ჩხრეკდნენ, ეძებდნენ დაკარგულ ავტომატს. სამშვიდობო ძალების ზუგდიდის შტაბის უფროსმა ალექსეი მასკოვეცმა სიტუაცია განმუხტა, პიკეტი მოხსნა, მაგრამ ავტომატი მაინც ვერ იპოვეს.

**ბრიგიტა შიუკაშვილი**







ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქალბატონ ქეთევან (ნიტო) კალანდაძეს ვერც შეატყობთ, თუ მეცხრე ათეულ წელშია გადამდგარი. გაცნობისას გაგაოცებთ თავისი ახალგაზრდული სიხალისით, იუმორის გრძნობით, არისტოკრატიული მანერებით. 54 წელზე მეტია იგი ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობს ექიმად. მას სჯერა, რომ არ არსებობს კარგი და ცუდი ექიმი, არსებობენ ჰუმანური და არაჰუმანური ექიმები, ეს რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს. თბილისელი ნანა ბაგრატიონი თავის წიგნში „ოთხშაბათიდან ოთხშაბათამდე" წერს, რომ აბასთუმანში სამკურნალოდ ჩასულ ავადმყოფებს თბილისიდან ხშირად აკითხავდათ მათი მკურნალი ნიტო ექიმი. მრავლისმეტყველი ფაქტია არა?*

*ქალბატონი ნიტო ორი შვილის დედაა. მისი ვაჟი — გივი გორგილაძე — ყოფილი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კოსმონავტიკის დარგში, ივანე ბერიტაშვილის მოწაფე — რუსეთში საკმაოდ ცნობილი მეცნიერია. თუმცა იგი უკვე 30 წელია მოსკოვში ცხოვრობს, სამშობლო არ დავიწყებია — ყოვლად უანგაროდ, საკუთარი სახსრების, დროისა და ნერვების ფასად გამოსცემს გაზეთს — „ნოვაია კავკაზსკაია გაზეტას". ეს გაზეთი რუსულ საზოგადოებრიობას შეულამაზებელ ინფორმაციას აწვდის აფხაზეთის ომზე, საერთოდ კავკასიაზე.*

*გორგილაძეების ოჯახმა თავის თავზე გადაიტანა 37 და 51 წლების სისასტიკე. 1951 წლების ამბებზე რატომღაც ცოტა იწერება. არადა, ამ წელს ისტორიაში, ალბათ, უპრეცედენტო რამ მოხდა — ათიათასობით ოჯახი სამშობლოდან ყაზახეთის უდაბნოში გადაასახლეს ერთ ღამეში, თანაც ისე, რომ მიზეზიც არ აუხსნიათ, ამასთან, რატომღაც მხოლოდ საქართველოდან. ჩვენი თხოვნით ქალბატონი ქეთევან კალანდაძე-გორგილაძისა ამ ტრაგედიების უშუალო მოწმე, თავის პირად ტრაგედიაზე გვიყვება:*

# წელი უფრო ბარბაროსული იყო, ვიდრე

## 37 წელი

ახალი წლის ღამე იყო, მაგრამ ალარაფრის ხალისი მქონდა. მთელი დღე მხოლოდ დაპატიმრებულ ქმარზე ვფიქრობდი. „იქნებ უკვე დახვრიტეს კიდეც?" ვიხსენებდი ჩვენს პირველ შეხვედრას. ხუთი წლის წინათ ახალგაზრდა თბილისელი ექიმი განაწილებით ჩამოვედი ჭიათურაში. ილიაც აქ გავიცანი, მალე დავქორწინდით კიდეც. უკვე ორი შვილი გვყავდა და თუმცა ტრესტის ეზოში, ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით, ყველაზე ბედნიერებად ვთვლიდით თავს. 30 წლის ილია სამთო-ინჟინერი იყო. მოულოდნელად, სრულიად უმიზეზოდ, ყველა მაღაროს დირექტორი, ტრესტის მმართველი და ინჟინერი დააპატიმრეს და დახვრიტეს, დაიჭირეს მათი ცოლებიც. ილიას ყველაზე ბოლოს მოაკითხეს, სულ რამდენიმე დღის წაყვანილი იყო. „ვინ იცის, იქნებ ჩემი ჯერიც მოვიდა?".

ამ ფიქრებში გართულს, ღამის პირველის ნახევარზე ვიღაცამ მომიკაკუნა. უცნობი ქალი იყო, მომიბოდიშა, ჩვილი ბავშვი გყავთ, ამ სიცივეში ხომ არ იყინებით, შემა თუ გაქვთო. მორჩა! მივხვდი, დამზვერეს, გაიგეს, სახლში ვიყავი თუ არა. ალბათ, ერთ ნახევარ საათში მეც ქმრის გზას გამიყენებენ. უნდა ვიჩქარო...

5 თვის მძინარე გივი პალტოში შევიფარე. მეორე ხელში ნაჩქარევად შეკრული ჩემოდანი და ხელჩანთა მეჭირა. ლამპიონების შუქზე თეთრად ბარდნიდა. ქუჩაში ვიღაც მამაკაცი შევნიშნე. სახე არ მიჩვენა, უხმოდ წაეტანა ჩემოდანს და სადგურამდე მომყვა. სატვირთო მატარებლის მისაბმელზე მოვთავსდი. ბოლოს მივხვდი, კაცი ვინც იყო — ჩემი საავადმყოფოს დარაჯი.

ორთქლმავალი ღამეში მიჰქროდა და თანდათან შორდებოდა ჭიათურას. ქარისა და სიცივისაგან ვკანკალებდით, გივი ტიროდა, მაგრამ თანდათან ვმშვიდდებოდი — გადავრჩი!

## თბილისში

თბილისში ჩემს სახლს მივაშურე. აქ დედასთან ჩემი 2 წლის გულნაზი მყავდა დატოვებული. გახიზვნას ვაპირებდით, მაგრამ ბრძანებამ მოგვისწრო, ცოლებისთვის მეტად აღარ ეხლოთ ხელი. სხვა მხრივ, მაინც შერისხული ვიყავი. „ხალხის მტრის ცოლის" იარლიყი მომეკერა. სამსახურში ალარავინ მლებულობდა. 39 წელს, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრები რომ შემოვიდა, აი, მაშინ გამომიყენეს — სხვებს ტუბდისპანსერში მუშაობა მაინცდამაინც არ ეხალისებოდათ. კიდევ ერთი ქარხნის საერთო საცხოვრებელში რალაც ინფექცია გაჩნდა და იქ მიმაგდეს. არადა, პატარა ბავშვების პატრონი ვიყავი. ახლა როგორ მჩაგრავდნენ სამსახურში! ხმას ვერ ვილებდი, მე ხომ შერისხულის ცოლი ვიყავი.

## 51 წელი

ახალი წლის მოლოდინი ცუდად დამებედა. შუაღამე იყო. ჩემი გივი და გუქა (გულნაზი) ცეკვავდნენ,



მხიარულობდნენ. ღამის 2-ის ნახევარზე ფანჯარასთან „კალანდაძეო" — დაიძახეს. კარები გავაღეთ და შემოვიდნენ რუსი ჩეკისტები (მერე გავიგეთ, როსტოვიდან ყოფილან), ერთი ქართველი მილიციელი და ორიც პარტიული მუშაკი.

გამოგვიცხადეს, რომ მხოლოდ ნახევარი საათი დრო გვეძლეოდა ბარგის შესაკვრელად — ამიერიდან ჩვენ გადასახლებულები ვიყავით, როგორც დივერსიული ოჯახი. ვინ ჩვენ? 70 წლის ფეხმოტეხილი დედაჩემი, მე და ჩემი შვილები (გივი 14 წლისა იყო, გულნაზი წლინახევრით უფროსი). მიზეზი არ აუხსნიათ, მერე გავიგეთ: მითითება ყოფილა, ოჯახებით დაეპატიმრებინათ ყველა მათგანი, ვინც სამამულო ომის წლებში ტყვედ იყო ნამყოფი, ან ვისაც საზღვარგარეთ ნათესავი ჰყავდა. სულ იმ ღამეს 50 ათასი ქართული ოჯახი გადაასახლეს. გესმით, 50 ათასი ერთ ღამეში. საწყალი ტყვედ ნამყოფები... როგორც იქნა, სამშობლოში დაბრუნდნენ, ოჯახები შექმნეს და ახლა ცოლ-შვილიანად ასახლებდნენ. ჩვენ ჩემი ძმის გამო დავისაჯეთ, ის რომ საზღვარგარეთ წავიდა საცხოვრებლად, მაშინ 12 წლის ბავშვი ვიყავი. და აი, ახლა დედაჩემი ამის გამო გადაასახლეს და ჩვენც ზედ მიგვაყოლეს.

ფაცა-ფუცით შევკარით ჩემოდნები. „გრუზოვიკზე" აგვყარეს, ვაგზალს იქით რალაც ჩიხში „ეშელონი" იდგა. სწორედ მასში შეგვრეკეს, პირუტყვების გადასაყვან ვაგონებში.

სულ იმ ღამეს 16 „ეშელონი" გაუვსიათ საქართველოში. თბილისიდან ორი გავიდა. ვაგზალზე ისეთი ამბავი იყო, მეორედ მოსვლა— წივილ-კივილი, ტირილი, წყევლა, გინება. ვისაც სიარული არ შეეძლო, საკაცეებით მოჰყავდათ და პირდაპირ ვაგონებში ყრიდნენ. გადასახლებული ჩვილი ბავშვები (!) აკვნებით წამოეყვანათ (ყველა მათგანი დაიხოცა). ერთი ახალგაზრდა მშობიარე ქალი პირდაპირ სამშობიაროდან გამოეყვანათ, საცოდავმა ვაგონში იმშობიარა ტყუპები და დაეღუპა.

სადგურზე ბევრ გადასახლებულ ნაცნობს მოვკარი თვალი. აქ იყვნენ ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი გურამ გაბაშვილი და მისი დედა, პარიზიდან ჩამოყვანილი ბალერინა ვაჩნაძე, ქირურგი დოცენტი კოლია ჯანდიერი, პროფესორი თევზაძე, ბევრი, ძალიან ბევრი ნაცნობი ექიმი, სიმონ ხეჩინაშვილის ცოლი და სიდედრი. ელისაბედ ჩერქეზიშვილის საზღვარგარეთიდან ჩამოსული შვილი ხომ დაიჭირეს, ახლა იმისი ცოლი და სიდედრი გადაესახლებინათ. ისინი დიდგვაროვნები იყვნენ და მაღალ სატვირთო ვაგონში ასვლას უკადრისობდნენ — მოვიდნენ რუსი „ვანკები", ზედ ფიცრები გადონ და ავალთო, მოითხოვეს მათ. ასეც მოიქცნენ. ვარაზისხევი ხომ იცით? იმ ღამეს მთელი ვარაზაშვილები გაასახლეს. საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, ბევრი წარჩინებული საზღვარგარეთ გაიქცა. წლების მერე დაბრუნდნენ სამშობლოში ოჯახებით და აი, უბედურება...

თავად უშიშროების მინისტრმა რუხაძემ გაგვაცილა. როსტოვიდან ამ მიზნით სპეციალურად ჩამოუყვანიათ ჩეკისტთა ჯარი.

## „ჯანდაბისკენ" მიმავალ გზაზე

შუა ზამთარი იყო. ვაგონები პირუტყვის სუნით ყარდა და საშინლად ციოდა. იატაკი ცოტაზე ამოჭრილი იყო, საპირფარეშოს მაგივრობას ისა სწევდა. მეოთხე ღამეს ერთმა ჩვენს ვაგონში მყოფმა კაცმა ბლავილი დაიწყო — მე და კიდევ ორ ქალს მოგვმართავდა: დებო რასა შვრებით, თავს ნუ იწამლავთ, მეოთხე დღეა არ მოგიშარდავთ, მე ხომ შევამჩნიე. დაიხოცებით ასე, ახლავე მოშარდეთ, თორემ არ გავჩერდები, დილამდე ასე ვიყვირებო. აი, ასეთ დღეში ვიყავით.

ბაქოს რომ გავშორდი, მეტი თავისუფლება მოგვეცა. როცა ეშელონი ჩერდებოდა, ჩვენც ძირს ჩამოვდიოდით. ერთი მოხუცი თოფიან დარაჯს მოერიდა და მოსაშარდად ეშელონის ქვეშ შეძვრა. ვერ მოასწრო, გაიჭყლიტა საწყალი.

16 დღე და ღამე ვიარეთ. არც ვიცოდით, სად მივყავდით. ჩვენი ეშელონის ხალხი სამხრეთ ყაზახეთში, ჩიმკენტის ოლქში, კიროვის რაიონში ნამდვილ უდაბნოში მოვხვდით. იმ შუა ზამთარში პირდაპირ მიწურებში ჩაგვყარეს (დღე აუტანელი სიცხე იყო, ღამე — საშინელი სიცივე). იქ სხვა გადასახლებულებიც დაგვხვდნენ — ბერძნები და გერმანელები. მორწმუნენი იყვნენ და ძალიან გვეხმარებოდნენ. ყაზახებიც კარგად გვექცეოდნენ, ოლონდ არა სჯეროდათ, ნამდვილი ქართველები რომ ვიყავით. ამბობდნენ, აქ განკულაკების დროსაც გადმოასახლეს ქართველები, აგერ, ამ დიდ ორმოებში მარხიან ყველა ერთად, ოლონდ იმათ სულ სხვანაირად ეცვათ და ზედ დიდი ხანჯლები ეკიდათო. ჩოხა-ახალუხსა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალს გულისხმობდნენ. მივხვდით, ის „სხვანაირად ჩაცმულები" რევოლუციის შემდეგ გადმოსახლებული ქართველი თავადიშვილები იყვნენ.

## უდაბნოში

ექიმობა იქ დავწყევლე, ყაზახეთში. უდაბნოს 40-60 გრადუს სიცხეს ჩვენი პატარები ვერ უძლებდნენ და იხოცებოდნენ. დიდებსაც უჭირდათ, განსაკუთრებით ზღვისპირეთის სიმწვანეს შეჩვეულებს. აჭარიდან მთელი „ეშელონი" დაიხოცა — ვერ შეეგუენ უდაბნოს ხრიოკებს. ჩემს გივის სეფსისი ჰქონდა. მითხრა, დედა, ექიმი ხომ ხარ, მინდა კიდევ ვნახო საქართველო, სიცოცხლე მინდა დედი და მიშველეო.

გულჩვილი არა ვარ, მაგრამ ერთხელ, რომ იცოდეთ, რამდენი ვიბღავლე. კვარაცხელიების მიწურში დამიძახეს. მამას ხელში რაქიტიანი, ულეური პატარა ეჭირა. ზედ მიწაზე ცოლი და მეორე შვილი ეწვინა. ცოლი სასიკვდილო აგონიაში იყო. უცებ ბავშვი ამბობს, ბაბაია ნახე, დედას ფეხები სულ გაუცივდაო. მეორე დღეს ის ბავშვიც მოკვდა ჭლექით. წამოვედი, დავჯექი ღელის პირას, ვიბღავლე და ვიბღავლე. ეს კვარაცხელია სამამულო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილიყო. ახლა ასეთი ბრალდება ჰქონდა, ვითომ, „შპიონი" იყო, გერმანულად უთარგმნიდა მტერს. არადა, მეგრულის გარდა საწყალმა ენა არ იცოდა, ქართულადაც ძლივს მაგებინებდა სათქმელს. ერთი საწყალი გლეხი იყო და გერმანული საიდან ეცოდინებოდა?

ბამბის პლანტაციებში გვამუშავებდნენ, წყურვილი გვახრჩობდა. წყალი მხოლოდ ერთადერთ, უბინძურეს არხში იყო, დეზინფექციას ვუკეთებდით და პატარებს ვუზოგავდით. საჭმელი ასე თუ ისე, იყო. კერძოდ, სიმინდი ბლომად გვქონდა, ოლონდ ცხელი უნდა შეგვეჭამა, მერე ქვავდებოდა.

**მაია თუნგია**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კრიმინალი

# მკვლელობით დასრულებული „ნაბლობა"

1996 წლის 25 ოქტომბერს თელავის რაიონის სოფელ ფშაველში მცხოვრები 25 წლის გენადი მიოს ძე თეთრაული წაბლის ასაკრეფად იმყოფებოდა „საბორიოს ხევში" (სოფელი ლეჩურა), სადაც თან ჰქონდა ნებართვის გარეშე შეძენილი „სეტონ-16" მოდელის მცირეკალიბრიანი შაშხანა საბრძოლო ვაზნებით. იგი ღამის გასათევად თავისი მოგვარის ალექსი თეთრაულის ღორების სადგომში მივიდა, სადაც ერთ საათში ღორები მორეკა ალექსი თეთრაულის მწყემსმა 24 წლის თელაველმა ზურაბ სოღროევმა. მასპინძელმა სტუმარი სუფრასთან მიიპატიჟა, შუა ქეფში იყვნენ, რომ მათთან მოვიდნენ ასევე წაბლის შესაგროვებლად ხეობაში ამოსული ახმეტელი ძმები მერაბ და ნუგზარ ჭიჭიკოშვილები და სადგომში ღამის გათევა ითხოვეს. ძმები მოქეიფეებს შეუერთდნენ, ღვინით და არყით კარგად გამომთვრალმა გენადი თეთრაულმა მისთვის უცნობ ძმებს ბრალი დასდო, თითქოს ისინი ღორების მოსაპარავად იყვნენ მოსულნი. ჩხუბი, ბილწსიტყვაობა... გენადი თეთრაული შურისძიებით განიმსჭვალა და ძმების მოკვლა გადაწყვიტა. როცა ნუგზარ ჭიჭიკოშვილი შეშის მოსატანად გავიდა, ბოროტმოქმედმა თავის არეში შაშხანა ესროლა მარტოდ დარჩენილ ძმას — მერაბს, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. მკვლელმა დაბრუნებულ ნუგზარ ჭიჭიკოშვილს სროლით თვალები გამოთხარა, მიავარდა წაქცეულს, ფეხითა და ჯოხით თავის არეში დაუწყო ცემა, კიდევ ესროლა, ამჯერად ააცილა, მაგრამ მძიმედ დაჭრილი და სასტიკად ნაცემი მსხვერპლი მალევე გარდაიცვალა.

ბოროტმოქმედი კვალის დაფარვას შეეცადა. ზურაბ სოღროევის დახმარებით, ღორების სადგომიდან 100 მეტრში სამარე გათხარა და ვიდრე ძმებს შიგ ჩაასვენებდნენ, ნუგზარს ათლარიანი რეზინის ჩექმები გახადა და თავად ჩაიცვა. მოპოვებულ საგანძურს მერაბ ჭიჭიკოშვილის ქოხში დატოვებული ზურგჩანთიდან 50 ლარად ღირებული ხანჯალიც დაამატა. „წაბლისმოყვარულ" ვაჟკაცს არც „იძულებითი მესაფლავის" მუქარით გაფრთხილება დაავიწყდა, არც გაძარცვული მიცვალებულების ზურგჩანთების დაწვა და გამოყენებული ნიჩბის, შაშხანისა და ხანჯლის სხვადასხვა ადგილებში გადამალვა, სამაგიეროდ, ნუგზარ ჭიჭიკოშვილის რეზინის ჩექმებით ფეხდამშვენებული დაბრუნდა სახლში (აბა რა ექნა, თუ თავის ფეხსაცმელში წყალი შესდიოდა?!)

აღნიშნულ მკვლელობაზე თელავის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ზურაბ სოღროევი და ბოროტმოქმედი გენადი თეთრაული მალე მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებიან.

# ზოგჯერ ცოლსაც უფრთხილდით!!!

კახეთის რეგიონში თავი იჩინა დაქირავებულმა მკვლელობამ. სამწუხაროა ის გარემოება, რომ დანაშაულისათვის სცენებს ზოგჯერ ქალი აწყობს ხოლმე და მთავარი როლის შემსრულებელ მოწვეულ გმირებს ჯილდოდ სოლიდურ თანხას სთავაზობს.

ასე მოიქცა გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მცხოვრები ოთხი შვილის დედა ლამარა ჭოხონელიძე. იგი ხანგრძლივ კონფლიქტურ.მდგომარეობაში იმყოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებოდა თავის ქმართან, ეროვნებით აზერბაიჯანელ ამინ ნაბიევთან. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც ლამარა ჭოხონელიძეს ზედიზედ სამი ქალიშვილი შეეძინა, ქმარმა უკმაყოფილება ვერ დამალა და ხშირად სცემდა ცოლს, ლოთობდა, ამორალურ საქციელს ეწეოდა. აუტანელი ცხოვრებით გაბეზრებულმა ქალმა თავისუფლებისთვის მიზეზი ჯერ დააღწია მრისხანე ქმრის მარწუხებს და მისი მოშორება გადაწყვიტა. დასახმარებლად დაიბარა თავისი დისწული დავით ჭიკაიძე – ხუთი ათას ამერიკულ დოლარად გაურიგდა მკვლელების დაქირავებისათვის, თან ჩანაფიქრის შესრულების დრო და სამოქმედო გეგმაც შეიმუშავეს.

1997 წლის იანვარში საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე საშინელი სურათი ნახეს – დამწვარ „ვაზ-2107“ მარკის ავტომანქანაში გვამი იყო. აღნიშნულ ფაქტზე საგარეჯოს რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, როგორც ძიებით გაირკვა, ამირ ნაბიევი თავისივე მანქანაში დამწვარიყო.

საგარეჯოს რაიონის პროკურატურის თანამშრომლები დააეჭვა ჭირისუფალ ლამარა ჭოხონელიძის უცნაურმა საქციელმა. დააკავეს დეიდა და მისი გულშემატკივარი დისწული დავით ჭიკაიძე, რომელიც კარგა ხანს ცდილობდა გამოძიებისათვის კვალის არევას. მაგრამ ბოლოს, როგორც გაირკვა, 16 იანვარს, დილით 7 სთ 30 წუთზე ბოროტმოქმედი ჭიკაიძე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ თანამზრახველთან ერთად, რომლებიც მთელ ღამეს იყვნენ ჩასაფრებული ამირ ნაბიევის საცხოვრებელ სახლთან, დაესხნენ ლილოს სავალო ბაზრობაზე სამუშაოდ მიმავალ მსხვერპლს, დააკარგვინეს გონება და თავისივე მანქანით გაიტაცეს. შემდეგ საგარეჯოს რაიონის სოფელ წყაროსთავთან ჭიკაიძემ ნაბიევი მანქანიდან გადმოიყვანა და იარაღით სიცოცხლეს გამოასალმა, შემდეგ გვამი მანქანაში ჩადო და დანაშაულის დაფარვის მიზნით წაიღო სოფელ პატარძეულის ტერიტორიაზე და მანქანიანად დაწვა, რითაც ჩადენილ შავბნელ საქმეს უფრო საშინელი და შემზარავი დანაშაული დაუმატა. ყველაფერი აცნობა დეიდას და დაქირავებული მკვლელებისათვის დაპირებული ფული მოსთხოვა, სინამდვილეში კი ტელეფონის აპარატში ჩაწყობილ 5000 დოლარი შუაზე გაყო – ნაწილი თავად აიღო, ნაწილიც თანამონაწილეს ვინმე ლილილაურს გადასცა, რომელიც ამჟერად იძებნება.

ოთხი შვილის დედა ლამარა ჭოხონელიძე და მისი დისწული დავით ჭიკაიძე მალე სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

# განაჩენი თავად გამოიტანა და...

11 ივნისს საგარეჯოს შს რაიგანყოფილებაში სახაბაზო დანით სისხლში ამოსვრილი მოქალაქე გამოცხადდა და აღიარა, რომ სოფელ ბადიაურში დანის გამოყენებით კარის მეზობლებს ცოლ-ქმარს მანია და შოთა ტაველიშვილებს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა მუცლის, გულ-მკერდის და თავის არეში. დაჭრილი ცოლ-ქმარი რაიონის საავადმყოფოში მიყვანიდან სამ-ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალნენ.

როგორც მკვლელმა გიორგი გრიქულოვმა აღნიშნა, ცოლ-ქმარი ტაველაშვილები ძალიან ავიწროვებდნენ, ხშირად ჩხუბობდნენ, მათი ჭიშკრის სიახლოვეს გავლასაც უშლიდნენ და ქუჩაში მდგარ სკამზე ჩამოჯდომასაც ისე, რომ კარის მეზობლები თვალის სინათლეებად კი არა, მოძულე მტრებად გადაიქცნენ, რაც შურისძიებაში გადაიზარდა. მეზობლური დავის შესახებ არც ერთმა სათანადო ინსტანციამ არაფერი იცოდა, ამიტომ ბოროტმოქმედმა შურისძიებისათვის განაჩენი თავად გამოიტანა და თავადვე მოიყვანა სისრულეში, მან არც სამართალდამცავი ორგანოების არსებობა გაითვალისწინა (?!) და არც სხარტი გამონათქვამი „ავი მეზობლის ჭირიმეო...“

**ლეილა ხერხუშვილი**



### ამაოების ბაზარი

„ამაზრზენია, მაგრამ რეალური, რომ დღეს საზოგადოებას გულს ვერაფრით აუჩვილებ. დღეს, ალბათ, აღარავის სცვივა ცრემლები ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ ან „თავსაფრიანი დედაკაცის“ კითხვისას. რას ვიზამთ, აგვიხდა ქალბატონი ვანგას (ღმერთმა აცხონოს) „ნაწინასწარმეტყველები“, ყველაფერს შეეჩვევითო. არაფერია გადაჭარბებული. შევეჩვიეთ კი არა, მგონი შეგვიყვარდა კიდეც ასეთი ყოფა. სხვა რაა აბა?! – რატომ აღარაფერი გვაღელვებს და გვაფიქრებს, რატომ მოვიშორეთ ღვთის შიში და რატომ გახდა დღის მაძღრად დალამების თემა მთავარი. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და ეს განწყობა მხოლოდ ჩემი ემოციის შედეგი იყოს, მაგრამ...

14-15 ივლისი საქართველოს ისტორიაში, ალბათ, „უბედნიერესი“ დღეების სახელით შევა.

სტუმარი ღვთისააო, უთქვამთ და სტუმარსაც გააჩნია. ჩვენს ქვეყანას თურქეთის პრეზიდენტი ბატონი სულეიმან დემირელი ეწვია.

ო, რა მოიქაჩლა თავი ქალაქის მერიამ, უფრო სწორედ, ყველამ, ვისაც რამე ეკითხებოდა (თავისი ჭკუით). სასწრაფოდ მოაწკრიალეს და მოაწესრიგეს ის პრესტიჟული უბნები, სადაც ძვირფასი სტუმრის გავლა იყო დაგეგმილ-ნავარაუდევი.

# ვისთვის ისტორიული დღე, ვისთვის...?!

ცხადია, ასეც უნდა ყოფილიყო. აბა, ისლა გვაკლია, ქალაქის გარეუბნებსა თუ მეტროპოლიტენის ამოსასვლელებში ლამის მათხოვრადქცეული, პურის და სხვა ათასი წვრილმანის გამყიდველები ენახა. გასაგებია, რა „გადასარევი“ შთაბეჭდილებით წავიდოდა აქედან. თუმცა, ვინ იცის... მაგრამ ფაქტია, როცა ძლიერნი ამა სოფლისანი ძვირფასი სტუმრის ჩამობრძანებით გამოწვეული ძვირფასი განცდითა და სიხარულით გონს ჯერაც არ იყვნენ მოსულნი, ქალაქს კიდევ ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი, წვიმა ეწვია და რადგან ჩვენში „ეს ქარი მარტო ქარი არ არის“, ცხადია, არც წვიმაა მარტო წვიმა და ზაფხულის წვიმის განწყობის ნაცვლად, მიწაზე უამრავი საწუხარი ჩამოიყოლა. არც ის არის სიახლე, რომ თბილისში პიკის საათი (პირდაპირი მნიშვნელობით), აღარ არსებობს. უფრო კი, აღარ არსებობს დრო, როცა შედარებით ხალვათობაა ქუჩებსა და ტრანსპორტში.

ჰოდა, იმ დღესაც ასე იყო. წვიმით შეწუხებულ ქუჩის ვაჭრებს, მეტროს (ამ შემთხვევაში სადგურ ასმეტელის) შესასვლელისთვის შეეფარებინათ თავი. მუშტრის დაკარგვის შიშს დაევიწყებინა მათთვის წესრიგის დაცვის აუცილებლობა. ისინი (ისინი კი მრავლად იყვნენ, განურჩევლად ერისა, სქესისა და ასაკისა) პურს აჩეჩებდნენ გამვლელთ და მოძრაობას აფერხებდნენ. ამაოდ ცდილობდნენ წესრიგის დამცველნი მათ მოგერიებას. თითქოს არც მოულოდნელი იყო, რომ პოლიციელნი და მოვაჭრენი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ერთმანეთს. დაბრკოლებულ გამვლელთა ბუზღუნი ხომ ცეცხლზე ნავთს ასხამდა. მოკლედ, დაძაბულობამ და წვიმამ ერთად იმატა. უცებ, გალიზიანებულ ცნობისმოყვარეთა ბრბოდან ერთი დაბალი, ჩაფსკვნილი პოლიციელი გამოვარდა, ერთ-ერთ ქალბატონს მივარდა და მთელი ძალით ჰკრა ორივე ხელი. ქალს პურები ტალახში ჩაუცვივდა, წყლის გუბეში გულაღმა გადავარდა და სხეულიც (ვისთვის მსუბუქად) დაუზიანდა. თითქოს არაფერი მომხდარაო, პურის გამყიდველთა რიგებიდან „საკუთარ სტიქიაში“ მყოფ პოლიციელს წინ არავინ გადაღობვია. ოღონდ ერთმა, იქვე მდგომმა პატარა გოგონამ სველ ასფალტზე, თითქმის ტალახში დაყარა თავისი წილი გასაყიდი პური და წაქცეულ ქალბატონს კივილით დაემხო.

ვერ ვიტყვი, პოლიციელს ცრემლები წამოცვივდა-მეთქი, წიხლითაც სიამოვნებით გადაუვლიდა, რომ არა გარეშე მაყურებელთა რისხვა. ჩემი აზრით, ყველაფერი გასაგებია და ემოციური კომენტარით არ შეგაწუხებთ. ერთი, რაც ვიფიქრე, ის იყო, რომ ამ პოლიციელს სამაგიერო უნდა მიეზღოს, პასუხი უნდა აგოს, ბოდიში მაინც უნდა მოუხადოს და ზარალი აუნაზღაუროს ქალბატონს, რომელსაც შეურაცხყოფა მიაყენა-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ მან ჩემი საბუთები გულდაგულ გასინჯა, მასთან ლაპარაკის უფლება შემიმოწმა და უკანვე გადმოყრილ საბუთებს მონოლოგიც გადმოაყოლა.

– დაწერეთ, რაც გნებავთ, დაწერეთ, ოღონდ მერე ისევ წაიკითხეთ, რამე არ გამოგრჩეთ. ხომ არ გგონიათ, მე სიხარულით ვაკეთებ ამას, ან ვინმეს პატივისცემა არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ჩვენი უფროსები გვყავს, პასუხს გვთხოვენ მეტროს შესასვლელში უწესრიგობაზე. მთელი დღეა დაგვაწყვიტეს ნერვები. როგორ არ ვთხოვეთ, როგორ არ ავუხსენით, აქეთ ილანძღებიან და იწყევლებიან. როგორ ფიქრობთ, მე ადამიანი არა ვარ?!

ოცდაოთხი საათი სამსახურში ვართ და რისთვის – თვეში ოცდახუთი ლარი გვაქვს ხელფასი. ახლა მეტყვით, რომ გამყიდველები ფულს გაძლევენო. გამოვალ ახლა თქვენთან ერთად და ჰკითხეთ ნებისმიერ მათგანს, თუ ჩემთვის რამე მოუციათ...

მალე მოსაუბრეს, ზაზა კუმელაურს, თავისი კოლეგებიც შემოუერთდნენ და მდგომარეობის ახსნა დამიწყეს.

– ქალის ცემა მაინც რა საკადრისია? – კითხვა შევბედე გაავებულებს. ცემა – ?! ვინ ვცემე, როდის ვცემე, თავი გაიგიჟა პოლიციელმა (ძნელი გასაგები იყო, „პოსტის“ დაკარგვის შიშმა შეაწუხა თუ საკუთარმა უსინდისობამ).

– თქვენ, წეღან ტალახში წააქციეთ პურის გამყიდველი და ეს მე ჩემი თვალით ვნახე, – ვუპასუხე დაბნეულმა.

– კი არ ვცემე, ხელი შევაშველე, იქით რომ წასულიყო და წაიქცა, – „დახვეწილი“ ჟესტიკულაციით დამამშვიდა წესრიგის დამცველმა. ცხადია, გავბრაზდი და ის იყო, მისი უფროსის ვინაობის დადგენას შევუდექი, კარი ლაფში ამოსვრილმა ქალბატონმა შემოაღო და ტირილით მომვარდა, ჯალათები არიანო, მითხრა. ვინც ფულს უხდით, მათ არაფერს უშლიანო. მე კი რა უნდა გადავუხადო, ქმარი უმუშევარი მყავს, სამი შვილი შესანახი, ორი სტუდენტია, ეს უმცროსი კი სკოლის მოსწავლეა, ახლა არდადაგები აქვს და მე მეხმარება.

ახლა შევამჩნიე ტალახში ამოთხუპნული, დედის ზურგსუკან მიმალული მტირალი გოგონა, მუშტით რომ იწმენდდა ცრემლებს.

– ვის რაში ვენაღვლებით, ვინ გამიკითხავსო, – კითხვით სავსე თვალები მომაპყრო ქალმა.

– მართლაც ვის უნდა მიაკითხო, ვის უნდა მოსთხოვო სამართალი? დღეს ხომ ყველამ ვიცით რა, როგორ და რატომ ხდება ეს ყველაფერი. ვიცით და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „ცხოვრება ცალკე ადამიანის თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ასეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა, ერთმანეთის ჭკუისა თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, როცა მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხქვეშა სთელავს, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ კი დამწევიც და გამქცევიც – ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან, ხელი მომიმართეო... განა ეს ცხოვრებაა და არა ჯოჯოხეთი!“.

– ეს დღე, საქართველოს „აღმშენებლობითი“ პერიოდის ერთი აგურია, – იტყვის მავანი.

დღეს კი, ლუკმა-პურისთვის სარჩოსთვის, ამ თავსხმაში გამოსული პატარა გოგონასთვის, კოცნით რომ უამებს იარას დედას, ვაი, რომ ბევრი რამე დამთავრდა.

**ია მაჭავარიანი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

*თავად ფაქტი, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით უვარგისი პროდუქცია შემოდის, რომელიც ლაბორატორიული შემოწმების გარეშე იყიდება ქ.თბილისის ბაზრებსა და ბაზრობებზე, შედეგს სრულიად ჩვეულებრივს ხდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანისა და ცხოველის საერთო დაავადებები დაახლოებით 300-მდე აღწევს, რომელთაგან ბევრი მათგანი დამღუპველად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ადვილი წარმოსადგენია, თურქულით, ციმბირის წყლულით, ცოფით დაავადებული ხორცის საკვებად გამოყენების შემთხვევაში რა შეიძლება მოხდეს...*

*საქართველოს რომელი რაიონიდან შემოდის დაავადებული ხორცი, რატომ არ ხდება მისი ლაბორატორიული შემოწმება, რა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისი უწყებები რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეპიზოოტური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დაავადებათა ლოკალიზაციის მიზნით? ... ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ქალაქის ვეტერინარიის სამმართველოს უფროსი, ბატონი ნუკრი ვუგუშვილი:*



# ციმბირის წყლულით ადამიანიც დაავადდა

— დაავადებული ხორცი ძირითადად გარდაბნის, მცხეთა-თიანეთის რეგიონის და ქალაქის სხვა მახლობელი რაიონებიდან შემოდის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გარდაბნის რაიონში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაავადებულია არა მარტო „თურქულით", არამედ ციმბირის წყლულითაც. ახალ სამგორში ადამიანის ციმბირის წყლულით დაავადების შემთხვევაც დაფიქსირდა. ეს ადამიანი ახლა რუსთავის საავადმყოფოში წევს. გარდა ამისა, თბილისში კონტრაბანდული გზით შემოდის უვარგისი პროდუქცია საზღვარგარეთიდან. საუბარი მაქვს ინდოეთიდან შემოტანილ ხორცზე, რომლის აღრიცხვაც არ წარმოებს, ქ.თბილისის საცეხოები კი ძირითადად სწორედ ამ ხორცს იყენებენ მეხვისა და სოსისის დასამზადებლად. იგივე მიზნით იყენებენ, აგრეთვე, იძულებით დაკლული ცხოველების ხორცსაც. ჩვენ 26 ასეთ საამქროში შევაჩერეთ მუშაობა. თბილისის აგრარულ ბაზრებში შექმნილი მძიმე სანიტარულ-ვეტერინარული მდგომარეობისა და ლაბორატორიების არასრულფასოვანი მუშაობის გამო დროებით დავხურეთ ოთხი მსხვილი და სამი პატარა ბაზარი...

<u>*— რომელ ბაზრებზეა საუბარი?*</u>

— შეჩერებული იყო დახურული, საბურთალოს, ნავთლუღის და ვგრიწოლებული „თევზის ბაზარი" ... სულ მალე ფუნქციონირებას შეწყვეტენ „შავი ზღვის" და ვარკეთილის ბაზრები... ეს გაგრძელდება მანამ, სანამ მდგომარეობა არ გამოსწორდება... მე უკმაყოფილო ვარ ლაბორატორიების მუშაობით... ზოგიერთ ბაზარში მასიურად არ მოწმდება მცენარეული პროდუქტი. ამასაც აქვს, ალბათ, გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, მაგრამ, ფაქტია, ისევ და ისევ ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ბაზარში ერთი კილოგრამი შეუმოწმებელი პროდუქციაც კი არ უნდა შედიოდეს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ეს არ ხდება...

<u>*— ბატონო ნუკრი, გამოდის, რომ თქვენ გამოსავალი, ფაქტობრივად ბაზრების დახურვაში მონახეთ... ხომ არ გქონიათ წინააღმდეგობა ბაზრის ხელმძღვანელობის ან თუნდაც ხალხის მხრიდან?*</u>

— აღნიშნულ ღონისძიებებს ქალაქის მერიასთან ერთად ვახორციელებთ. შექმნილია საგანგებო კომისია, რომელსაც ქალაქის ვიცე-მერი ბატონი მალხაზ ჩაჩავა ხელმძღვანელობს. შემოწმებების შედეგად ბაზრებში იმდენად მძიმე მდგომარეობა აღმოჩნდა, რომ ყოველგვარ წინააღმდეგობას მათი მხრიდან აზრი ეკარგება. მხოლოდ დაპირებები, რომ ყველაფერს გააკეთებენ, ოღონდ ფუნქციონირება არ შეგვიჩეროთ, საქმეს არ შველის. სანამ ბაზრის დირექციების ეკონომიკურ მდგომარეობას არ შეეხო ეს ღონისძიებები, მანამ არ მიხედეს ლაბორატორიების მუშაობას და სანიტარულ მდგომარეობას. არადა, მოგეხსენებათ, რას ნიშნავს თუნდაც ხუთი დღით ბაზრის ფუნქციონირების შეჩერება. სანიტარულ-ვეტერინარული მდგომარეობა განსაკუთრებით საბურთალოსა და დახურული ბაზრების დირექტორებმა მოაწესრიგეს... თუმცა, არის შემთხვევები, როცა ბაზრის დირექტორები ხალხის პროვოცირებას მიმართავენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ, უმჯობესია, მსგავს ქმედებებს მოეშვან და საქმეს ნუ გაირთულებენ, რადგან პირადად მე, ნამდვილად ვერ შემაჩერებენ. ხალხმა (მოვაჭრეებმა) კი უნდა იცოდეს, იმისათვის, რომ ხუთი ლარი მოიგონონ სახლში, ათეულობით ადამიანის დაავადებას არ უნდა შეუწყონ ხელი... მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არსად არ გაიხსნება ბაზრები მანამ, სანამ ლაბორატორიების მუშაობა არ მოწესრიგდება... საქართველოში შექმნილი დღევანდელი ეპიზოოტური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებელია ლაბორატორიული შემოწმების გარეშე პროდუქციის რეალიზაცია...

<u>*— ბატონო ნუკრი, მითხარით, ისევ დაავადებულ ხორცის პროდუქტებს დაუბრუნდეთ. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრუცელოზით რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა...*</u>

— არასწორი ინფორმაციაა, თბილისში ბრუცელოზით, არავინ დაღუპულა. ბრუცელოზის გამოვლინებები გვქონდა რძის პროდუქტში. 29 შემთხვევა იყო ასეთი. აღნიშნული პროდუქტიც გარდაბნის რაიონიდან იყო შემოტანილი. დღეისათვის თბილისი სუფთაა ინფექციური დაავადებებისაგან, არა გვაქვს არც თურქულის, არც ციმბირის წყლულის გამოვლინებები, არაა დაფიქსირებული ცოფი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი და ეს ყველაფერი მიღწეულია ქალაქის მერიის დახმარებით. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ჩვენ 25 ათასი ლარი გამოგვეყო, რომლითაც ვაქცინები შევიძინეთ. დღეს თბილისში დაახლოებით 4 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 30 ათასამდე ძაღლი და 7 ათასამდე ღორია. ცოფზე აცრილია 22743 ძაღლი. ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინებით დავეხმარეთ აჭარის რეგიონს, მივაწოდეთ 1500 დოზა ცოფის ვაქცინა, 200 დოზა მივაწოდეთ საჩხერის რაიონს... საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ ცოფი ძალიან მძიმე დაავადებაა. ამ დაავადების შემთხვევაში ადამიანს სიკვდილი ელის. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ქვემო და შიდა ქართლში, აჭარაში ცოფის 33 [illegible] ბული ცხოველებში... ბოლო წლებში საქართველოში არანაირი ვაქცინაცია არ ტარდებოდა, ყველანაირი სამუშაო ამ მიმართულებით შეჩერებული იყო, ... მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა... ჩვენ საქმიანი ურთიერთობები დავამყარეთ ფრანგულ ფირმა „რონ მერიოსთან". უახლოეს დღეებში საქართველოში შემოვა 25 ათასი ცოფის ვაქცინა, რომელიც საჩუქრად გადმოგვეცა. 225 ათასი დოზა უნდა შემოიტანოს რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტმა, თუ შესაბამისი დაფინანსება იქნება. მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ მხოლოდ ... ლისზე აქცენტის გადატანა პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. ამ დარგის განვითარებას მთელს რესპუბლიკაში უნდა მივაქციოთ ყურადღება. დღეს კი რაიონებსა თუ სოფლებში ვეტერინარი ექიმები სამუშაოს გარეშე არიან დარჩენილნი. უნდა მოხდეს პროგრამების დაფინანსება; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა რესპუბლიკაში. საერთოდ კი, უნდა მოხდეს ... რგის თვითდაფინანსებაზე გადასვლა... ბიუჯეტიდან კი არ უნდა ვიღებდეთ ... ნსას, პირიქით, აქეთ უნდა ვაწვდიდეთ მას.

**თამარ ოთიაშვილი**

*P. S. ქალაქის ვეტერინარიის სამმართველოში ჩემს მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ხორცით დატვირთული მანქანა დააკავებინათ. ხორცი რესტორანში შეჰქონდათ რეალიზაციისათვის, არადა მძღოლებს არავითარი საბუთი არ ჰქონდა. ჩემს იქ ყოფნაში ხორცის ლაბორატორიაში შესამოწმებლად წაიყვანეს სამმართველოს თანამშრომლებმა გამყიდველს, თუმცა, გარეგნულად აშკარად ჩანდა, რომ იგი საკვებად უვარგისი იყო. მსგავსი შემთხვევები იშვიათი არ არის, რაც, ვფიქრობთ, ღირს დაფიქსირებად. ყველამ, მყიდველმაც და გამყიდველმაც უნდა შეიგნოს, რომ ყოველივე ჩვენს ჯანმრთელობაზე მოქმედებს. ბოლოს კი ერთი რამ უნდა ვურჩიოთ მოსახლეობას: ბაზარში შესყიდვისას აუცილებლად მოითხოვეთ ლაბორატორიის მიერ შემოწმების ფურცელი გამყიდველს და პრობლემების თავიდან აცილების მიზნით თავიდანვე გაარკვიეთ, რომელი რაიონიდან არის შემოტანილი ხორცი.*

**კარსმომდგარი პრობლემა**

*როცა დიდი ქალაქების პრობლემაზე ფიქრობ, შეუძლებელია, ქართველ კაცს თანამედროვე ქართველი პოეტის სტრიქონები არ გაგახსნედეს.*

*„თავის თავს ხომ სჭამს და მეც რომ შემჭამს,*
*რა ფეხებს შეჭამს ჩემი ქალაქი?"*

*ჩვენთვის უცნობია, გაითვალისწინეს თუ არა მოსკოვში ამას წინათ ჩატარებული მსოფლიოს უდიდესი ქალაქების მერების მეხუთე კონფერენციაზე პოეტის მოსაზრება, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დიდ ფორუმზე მართლაც გლობალური პრობლემები იქნა წამოწეული წინა პლანზე.*



# ...რა ფეხებს შეჭამს ჩემი ქალაქი?

მსოფლიოს უდიდესი ქალაქების მერების კონფერენცია პირველად 1985 წელს ჩატარდა ტოკიოში, იაპონიის დედაქალაქის გუბერნატორის ინიციატივით. მეორე – სტამბულში, მესამე – მონრეალში და მეოთხე – ბერლინში. ამ კონფერენციებზე ჩვეულებრივ განიხილება დიდი ქალაქების ეკოლოგიური, სოციალური, ტრანსპორტის, მედიცინის, განათლებისა და სხვა პრობლემები, კეთდება ქალაქების განვითარების პროგნოზები, მუშავდება რეკომენდაციები და სამოქმედო სტრატეგია პრობლემების გადასაჭრელად.

„დიდი ქალაქები, სადაც ამჟამად ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი, დღეს ცივილიზაციის ცენტრებს წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია მათ შორის მჭიდრო კავშირი" ნათქვამი იყო მოსკოვის კონფერენციის მონაწილეებისადმი გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მისასალმებელ სიტყვაში.

ტოკიოს გუბერნატორის იუკიო აოსიმას განცხადებით კი, დღევანდელ სამყაროში იქმნება სოლიდარობის კიდევ ერთი რგოლი და ამ პროცესის შუამავალნი ხდებიან სწორედ უდიდესი ქალაქები.

დღეს დიდი ქალაქების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა მოსახლეობის სწრაფი ზრდაა, ეს პირველ რიგში ეხება ე.წ. მესამე სამყაროს ისეთ ქალაქებს, როგორიცაა: სან-პაულუ, მეხიკო, ლაგოსი, ბომბეი, მანილა და სხვა.

მაგალითად, სან-პაულუ, „ქალაქი-დინოზავრი", როგორც მას უწოდებენ 100 კმ-ზეა გადაჭიმული და ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ ქალაქის პოლიციაში სპეციალური მაძებარი რაზმები შექმნეს, რომელთა ამოცანაა მონახონ და ქალაქის რუკაზე აღნიშნონ ახლადწარმოქმნილი ქუჩები. „სან-პაულუ ისე სწრაფად იზრდება, რომ შეუძლებელია იქონიო ქალაქის სქემა, საჭირო იქნებოდა მისი ყოველკვირეული განახლება" – წერდა ცნობილი ფრანგი ეთნოლოგი კლოდ ლევი-სტროსი ჯერ კიდევ 1955 წელს, როდესაც ბრაზილიის ამ ეკონომიკურ ცენტრში მხოლოდ 2,5 მილიონი მცხოვრები იყო. ამჟამად, ოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი 20 მილიონამდე და ყოველწლიურად ქალაქს ჩამოსახლებულთა 300 ათასიანი არმია ემატება. ასეთივე ვითარებაა რიო-დე-ჟანეიროში, კარაკასსა და მეხიკოში.

ამ ქალაქების მოსახლეობის მექანიკური მატების ძირითად ნაკადს ქმნიან სოფლის მეურნეობის დარგის უმუშევრად დარჩენილი მუშები და გაღატაკებული გლეხები. „მესამე სამყაროს ქალაქების უკონტროლო ზრდა მცდარი დემოგრაფიული და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. მისი ძირითადი მიზეზია არა ქალაქების სიმდიდრე, არამედ სოფლის სიღატაკე". ასეთ დასკვნას აკეთებს ვაშინგტონის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი „უორლდუოჩი".

სოფლის სიღატაკის ძირითადი მიზეზი კი მიწის არასწორი განაწილებაა. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში მიწათმოქმედთა 7 პროცენტი ფლობს ნაყოფიერი სახნავი მიწების 93 პროცენტს.

აზიისა და აფრიკის ქალაქებისათვის ასევე დამახასიათებელია მოსახლეობის უკიდურესად სწრაფი ზრდის ტემპები. მაგალითად, ლაგოსის (ნიგერია) მოსახლეობა 30 წელზე ნაკლებ დროში გაიზარდა 20-ჯერ და 7 მილიონს გადააჭარბა. კენიის დედაქალაქი ნაირობი კი წარმოადგენს „საბავშვო ბაღს", სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი 16 წელზე ახალგაზრდაა.

„უორლდუოჩისავე" პროგნოზით, დემოგრაფიული აფეთქება კიდევ უფრო დაამძაფრებს განვითარებადი ქვეყნების მეგაპოლისების ინფრასტრუქტურას, რომელიც ისედაც დღეს არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რადგან „რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო ძვირი და რთული ხდება მომარაგების სისტემები! მაგალითად, დიდ მეხიკოს, რომელმაც უკვე გაასწრო მოსახლეობის რაოდენობით ტოკიოს და ახლა მსოფლიოს უდიდეს ქალაქებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ურბანისტული ცენტრია, უახლოეს მომავალში ვეღარ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას სასმელ წყალზე. ამ პრობლემის მოგვარებისათვის მას სულ ცოტა 6 მილიარდი დოლარი დასჭირდება.

დიდი ქალაქების მოსახლეობის მეოთხედი ადამიანისათვის შეუფერებელ პირობებში ცხოვრობს. მაგალითად, კალკუტაში, რომელიც ყველაზე საშინელი ქალაქის პროტოტიპია, მოსახლეობის 70 პროცენტი ცხოვრობს ჯურღმულებში, ამ ტენდენციის ზრდა ბევრ სხვა დიდ ქალაქებშიც შეინიშნება.

უკვე დღეს გაძნელებულია მეგაპოლისების კონტროლი, სწრაფად მზარდი დანაშაულობა ისევე მძიმე ტვირთად აწვება ქალაქის მცხოვრებლებს, როგორც არსებობისათვის ბრძოლა, კორუფცია ხელს უშლის რეფორმების ჩატარებას, მოსახლეობის სწრაფი ზრდა აქარწყლებს ჯანმრთელობის დაცვისა და ტრანსპორტის სტრუქტურების გაუმჯობესების ღონისძიებებს, შეიქმნა ურბანისტული ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება.

სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, გამწმენდი ნაგებობების სიმცირე აბინძურებს მდინარეებს, ხოლო წყლების დაბინძურებამ შეიძლება ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ მეგაპოლისების მცხოვრებნი წყურვილით დაიხოცონ, როგორც უდაბნოში. მნიშვნელოვანი პრობლემაა ჰაერის დაბინძურება, რაც ქალაქის მცხოვრებთა მძიმე დაავადებებს იწვევს, მათ შორის ფილტვის კიბოსაც კი, ნახშირორჟანგისა და სხვა მავნე ნივთიერებების შემცველობა დიდი ქალაქების ატმოსფეროში ხშირად აღემატება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ნორმებს.

დიდ ქალაქებში სოციალური დაძაბულობის შენელებისა და არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭიროა ფულადი ინვესტიციები, მაგრამ „მეგაპოლისების ფინანსური მდგომარეობა უარესდება – აღნიშნა პარიზის რეგიონის ხელმძღვანელმა მიშელ ჟირომ – იზრდება სოციალური მოთხოვნები და დიდი ქალაქები ერთმანეთის კონკურენტები ხდებიან ინვესტიციების მოზიდვისათვის".

გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგნოზებით მეგაპოლისების ზრდა კიდევ გაგრძელდება. 2000 წლისათვის განვითარებად ქვეყნებში 20-მდე უდიდესი ქალაქი იქნება, მაგრამ ყველა სხვას უკან ჩამოიტოვებს ორი ქალაქი, რომელთაგან თითოეულში 25 მილიონზე მეტი მცხოვრები იქნება. ეს ქალაქებია მეხიკო და სან-პაულუ.

**დავით ცაგარეიშვილი**

# სტიმული

*(წერილი მესამე)*



დღევანდელი რეალობა ლიტერატურასა და ხელოვნებას ოთხი არსებითი მნიშვნელობის მოთხოვნას უყენებს: უნდა შეფასდეს წარსული, კრიტიკულად უნდა იქნეს გააზრებული თანამედროვე ყოფა, მოდელირებულ უნდა იქნეს ადამიანებს შორის არსებული ის ურთიერთობები, რომლებშიაც აისახება ჩვენს საზოგადოებაში სამართლებრივი დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად მიმდინარე ბრძოლა. როგორც წარსულის, ასევე თანამედროვე თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში უნდა შეიქმნას გამარჯვებული ქართველის სახე.

სამწუხაროდ, ეს პროცესი ჯერ არ დაწყებულა, იყო მხოლოდ წარსულის კრიტიკული გააზრების ცდები.

აღმოჩნდა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც არის დამოუკიდებლობის მოპოვება და სოციალური სისტემის შეცვლის დასაწყისი, ვერ იქცა იმ სტიმულად, რომელიც რადიკალურად გაანახლებდა შემოქმედებით ცხოვრებას, როგორც სათქმელის, ისე ფორმის თვალსაზრისითაც და ყველაფერი დროის შესაფერის სახეს მიიღებდა. მოხდა კი პირიქით: პირობითობამ და ეზოპეს ენით მეტყველებამ თავისებური გაგრძელება ავანგარდისაკენ მიტრიალებაში ნახა. (მიმართულება, რომლის ერთეულ ნიმუშებს Ⴒ-იანი, 20-იან წლების ლიტერატურასა და ხელოვნებაში ვხვდებით). სასურველია მხოლოდ, რომ ამ ნოვაციისადმი დამოკიდებულება მოდურ-სნობისტური არ იყოს და ამავე მიზეზის გამო უამრავი საეჭვო ნიჭიერების მქონე ბედის მაძიებლისათვის თავშეფარების საშუალებად არ იქცეს....

დღევანდელ ყოფაში სტიმულირებული არც ინტელექტია... სანამ კოლონია ვიყავით, მეგონა რომ, როცა გავთავისუფლდებოდით, გონიერება მეტად დაფასდებოდა და მისი მეშვეობით ყველა პრობლემას თავს დავაღწევდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, არ დაფასდა ჭკუა-გონება... სიმბოლურ ხელფასზე თუ არაფერს ვიტყვით, სამაგალითოდ ისიც იკმარებს, რამდენად არ ფასობს ადამიანის ნააზრევი დღეს საქართველოში, უამრავი გაზეთი გამოდის თბილისში, ყველაფერს ნახავთ დაბეჭდილს იქ: ჭორს, ანეკდოტს, სკანდალურ ამბავს, მაგრამ დიდი იშვიათობაა ანალიტიკური ხასიათის წერილები. ამრიგად, აზროვნების სტიმულირება პრესის მეშვეობით არ ხდება.

ამას არც ტელევიზია უწყობს ხელს, საერთოდ არ არის ისეთი შემეცნებითი ხასიათის გასართობი პროგრამები, რომლებიც მასში მონაწილეთა და ტელემაყურებელთა ინტელექტუალურ განვითარებას შეუწყობდა ხელს. ნახეთ, რა ხდება რუსეთის ტელევიზიაში, რა მონდომებით ცდილობენ გასართობი პროგრამების მეშვეობით გააცნონ მაყურებელს რუსეთისა და მსოფლიოს ისტორიისა და კულტურის რეალიები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მოგვარებასაც ჯერ არ გააჩნია სტიმული, ეს გახლავთ – ნიჭიერი და უნარიანი ადამიანების სამოქმედო სათანადო ასპარეზის შექმნა. სანამ თავისუფლებას მოვიპოვებდით, ამას არანორმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა უშლიდა ხელს. ახლა, როცა ძველი დაინგრა, გამოირკვა: საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი ფორმა, ჩვენში რომ მკვიდრდება, ცუდი ორგანიზებულობის წყალობით ამ პრობლემას ვერაფრით შველის, პირიქით, კიდევ უფრო გართულდა მისი მოგვარების საქმე, რადგან ნიჭი, ცოდნა, პროფესიონალიზმი არ არის იმის გარანტია, რომ მოხმობილი იყოს ადამიანი, ყველაფერს ფული და ამა თუ იმ სიტუაციაში ადაპტირების უნარი წყვეტს. ამის გამო დაიწყო დილეტანტიზმის ჯერ არნახული აღზევება საქართველოში. არ დარჩენილა სფერო ადამიანის მოღვაწეობისა, რომ მათი მოძალება არ იგრძნობოდეს.

სანამ კოლონია ვიყავით და „სოციალისტურ სამოთხეს“ გვაშენებინებდნენ, უმაღლეს განათლებას, უფრო სწორედ კი დიპლომს, სოციალური არგუმენტის მნიშვნელობა ჰქონდა: ეს იყო გარანტია ამა თუ იმ შემოსავლიანი ადგილის დაკავებისა, კარიერის გაკეთებისა და ასე შემდეგ. სანამ ასეთი დამოკიდებულება იყო, ცოდნის მოპოვება სულ უფრო მეორადი საქმე ხდებოდა,დიპლომისა – სულ უფრო პირველადი. ჯერ „პერესტროიკის“ დროს და შემდეგ დამოუკიდებლობის პირველ წლებში მიამიტურად გვეგონა, რომ საბაზრო ეკონომიკა და ახალი სულიერი ფასეულობანი სხვაგვარად დააფასებდნენ სწავლასა და დიპლომს. სამწუხაროდ, საპირისპირო რამ მოხდა, სტიმულირებული სწავლის მოთხოვნილება კი არა, დიპლომის შოვნის სურვილი აღმოჩნდა. ამიტომ გაიხსნა უამრავი უმაღლესი სასწავლებელი, რომელთა არსებობა არანაირად არ არის მოტივირებული და უცოდნელად დიპლომის მიღებამ არნახული გაქანება მიიღო...

ასე რომ, რამდენიმე წლის შემდეგ ზემოთნახსენებ დილეტანტთა შემოტევას ახალი ძალები შეემატება.

**პაატა იაკაშვილი**

კინომცოდნე

ქადრაკი



# ქართველ ამორძალთა ახალი აღიარება

ფიდე-ს გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ვაჟთა IV გუნდურ პირველობაში, რომელიც 24 ოქტომბერს დაიწყება ლუცერნში (შვეიცარია), საასპარეზოდ პერსონალურად მიწვეულია საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრები. ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა ამ პრესტიჟული შეჯიბრების ისტორიაში. ადრე მასში ქალთა ნაკრებს არასოდეს მიუღია მონაწილეობა.

მსოფლიოს ვაჟთა გუნდური პირველობა შემოიღეს 1985 წელს. მაშინვე გადაწყდა, რომ იგი გაიმართება ოთხ წელიწადში ერთხელ ყოველთვის ლუცერნში. ტურნირი. წრიული სისტემით ჩატარდება. იასპარეზებს 10 გუნდი: ოლიმპიადაში პირველი სამი გამარჯვებული კონტინენტების ჩემპიონები და მასპინძელთა ნაკრები. თითოეულ გუნდში იქნება 4 ძირითადი და ორი სათადარიგო მოთამაშე. როცა სათადარიგო მოთამაშე შეცვლის რომელიმე ძირითად მოთამაშეს, იგი მის ადგილზე (დაფაზე) ითამაშებს, არ მოხდება დაფების გადანაცვლება, როგორც ეს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ხდება.

I (1985 წ.) და II (1989 წ.) პირველობებში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. III პირველობაში (1993 წ.) პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. მეორე ადგილზე გავიდა უკრაინა, ხოლო მესამეზე - რუსეთის ნაკრები.

წლევანდელ, IV პირველობაში ჩვენ დიდოსტატ ქალთა ნაკრების მეტოქენი იქნებიან: რუსეთის, უკრაინის, ამერიკის შეერთებული შტატების (ერევნის ვაჟთა ოლიმპიადის პრიზიორები), ინგლისის (ევროპის ჩემპიონი), კუბის (ამერიკის ჩემპიონი), აზიის ჩემპიონი (იგი ყაზახეთისა და ფილიპინების გუნდებს შორის გამოვლინდება), აფრიკის ჩემპიონი (იგი ქაიროში გამართულ პირველობაში გამოვლინდება), შვეიცარიისა და ხორვატიის გუნდი (ეს უკანასკნელი ორგანიზატორებმა მიიწვიეს).

ამას წინათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჩვენი გუნდის შემადგენლობა. აი, ისიც (დაფების მიხედვით); მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, ნინო გურიელი, სათადარიგონი – ნინო ხურციძე, ნონა გაფრინდაშვილი. კაპიტნად დაინიშნა ნანა ალექსანდრია.

ჩვენ არ შევუდგებით საქართველოს გუნდის შანსების პროგნოზირებას. თითოეულ ჩვენს დიდოსტატს ვაჟებთან პაექრობის საკმაო გამოცდილება გააჩნია. როგორც ცნობილია, ნონა და მაია საერთაშორისო დიდოსტატები, ხოლო იოსელიანი და არახამია საერთაშორისო ოსტატები არიან ვაჟთა შორის. როგორც არ უნდა ითამაშონ, მათი გამოსვლა ვაჟთა ესოდენ დიდ ტურნირში გულმემატკიერებს სიამაყეს გვმატებს.

როგორ არ გავიხსენო მსოფლიოს ექსჩემპიონის მაქს ეივეს მიერ ოციოდე წლის წინათ გაკეთებული „პროგნოზი“: ქალები ვაჟებს რომ გაუტოლდნენ ჭადრაკის თამაშში, „ალბათობის თეორიით“ მას კიდევ 200 წელი დასჭირდებაო. მართლაც, სწრაფად გარბის დრო!

## მსოფლიოს – ნონას თასი

1927 წელს მსოფლიოს ვაჟთა საჭადრაკო ოლიმპიადა რომ შემოიღო ფიდე-მ, გამარჯვებული გუნდისთვის ინგლისელი საჭადრაკო მოღვაწის ჰამილტონ-რასელის სახელობის გარდამავალი თასი დააწესა. 1957 წელს მსოფლიოს ქალთა პირველი საჭადრაკო ოლიმპიადა რომ დამთავრდა, ფიდე-მ გამარჯვებულ საბჭოთა გუნდს გადასცა ლეგენდარული ვერა მენჩიკის სახელობის თასი, რომელიც გარდამავალი გახდა.

ასე იყო დღემდე, მომავალშიც ასე გაგრძელდება. მაგრამ ამიერიდან ქალთა და ვაჟთა ჵრანდიოზული ოლიმპიადების მონაწილეებს ახალი მიზანი გაუჩნდებათ, როცა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასს შემოიღებენ. იგი გადაეცემა ქვეყანას (და არა რომელიმე გუნდს), რომლის ქალთა და ვაჟთა გუნდები ერთად ჯამში ქულათა მაქსიმუმს დააგროვებენ.

ეს დიდმნიშვნელოვანი სიახლე, რომლის იდეა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ვაჟა მუხლაძეს ეკუთვნის, უთუოდ დაიმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების. გათამაშებაში.

ნონას თასის შემოღების საკითხი მოიწონა ფიდე-ს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა. ამას წინათ თასის დაწესებას მხარი დაუჭირა ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭოს თხუთმეტივე წევრმა. საბოლოოდ თასის დამკვიდრება უნდა დაამტკიცოს ფიდე-ს 68-ე კონგრესმა, რომელიც 2-10 სექტემბერს გაიმართება კიშინიოვში.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ თასის შექმნის კონკურსი გამართა. მოწონებულ იქნა მოქანდაკე ირაკლი მეგრელიშვილის მიერ წარმოდგენილი თასის პროექტი.

თასი 54 სმ სიმაღლისაა. აგებულია ჭადრაკის თემაზე ვერცხლის, ნაწილობრივ ოქროს ფრაგმენტებით და ვიტრაჟული მინანქრით. თასის ზედა ნაწილი ლაზიერს მოგვაგონებს, ფიგურის ოქროს გვირგვინით და ოთხწვერა ვარსკვლავებით. ქვემოთ წარწერაა ლათინურ ენაზე „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“. თასის შუა ნაწილში, ლაზიერის მარჯვენა მხარეს, გამოსახულია ნონა გაფრინდაშვილის პორტრეტი. რელიეფის ზემოთ განლაგებულია თმის დეკორი, რომელიც მოგვაგონებს ნიკორწმინდის ხვეულ ორნამენტს. კომპოზიციაში რბილად შემოდის მეორე საჭადრაკო ფიგურის, მხედრის გამოსახულება. თასის ქვედა ნაწილი – სადგარი, წარმოადგენს წაკვეთილ კონუსს, რომელზედაც ამოიტვიფრება გამარჯვებული ქვეყნის სახელი.

.ნონას თასი მზადების პროცესშია. თუ კონგრესმენები მიიღებენ მას, რაშიც ეჭვიც არ გვეპარება, იგი გათამაშდება მსოფლიოს ვაჟთა 33-ე და ქალთა მე-18 საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც 1998 წლის შემოდგომაზე მოეწყობა ქალაქ ელისტაში (ყალმუხეთი). თასი ახალ სტიმულს მისცემს მოჭადრაკეთა ამ გრანდიოზული ფორუმის მონაწილეებს.

**თენგიზ გიორგაძე,**

საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი.

ქუთაისის მერიდიანზე

# სცენაზე მოზარდი თაობა

*ბოლო ხანებში საბავშვო საესტრადო სტუდიათა სიმცირეს ვერ დაიჩივლებენ ქუთაისლები. მაგრამ მათ შორის, პროფესიული სრულყოფითა და დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა „ამადეუსი“, რომლის ხელმძღვანელია მანანა იმედაძე. იგი ამას წინათ საინტერესო პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე.*

მათ არც კლასიკური გიმნაზიის ახალგაზრდული თეატრი „ელფები“ ჩამორჩება. ეს საინტერესო კოლექტივი სამი წელია არსებობს, ხელმძღვანელია გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებელი ნაილი უგრეხელიძე, რომლის თაოსნობითაც შეიქმნა ეს თეატრი და ამ ხნის მანძილზე მრავალ ფესტივალსა და ოლიმპიადაზე გაიმარჯვა.

თეატრის ორ სპექტაკლს „უკვდავებასა“ და „ბრემენელ მუსიკოსებს“ ახალი სპექტაკლი – „ფიროსმანი“ მიემატა, რომლის სცენური ვერსია თვით ნაილი უგრეხელიძეს ეკუთვნის, რეჟისურა – ცნობილ რეჟისორს, კ.მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს, ბატონ ნუგზარ ლორთქიფანიძეს.

„ფიროსმანის“ გერმანულ ენაზე ამეტყველება საინტერესო მოვლენაა ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში.

**თენგიზ სულაქველიძე**

## ორშაბათი 28 ივლისი

7.30. ალიონი.
18.00. „მოამბე“ ორშაბათი მძიმე დღეა. „ექიმის მოსვლამდე“. 50X50
20.00. „მოამბე“ „პროფილი“.
20.40. „ბასტი-ბუბუს“ მულტი-პულტი“.
21.10. მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა)
22.00. „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე). „ვიდეოპატრული 02“. პროგრამა „დღე“
22.45. ქართული მხატვრული ფილმი „მდგმურები“ 00.05. „მოამბე“.

18.00. „ინფორმაცია მეორე არხი“.
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი.
19.50. საქართველოს მოამბე.
20.00. მოსკოვი-თბილისი.
21.20. ესტაფეტა
21.30. არაჩვეულებრივი გამოფენა.
21.40. „ინფორმაცია მეორე არხი“ რეკლამა.
22.05. ამერიკული მხატვრული ფილმი „მხოლოდ თქვენი თვალებისათვის.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“
18.40. მანუნა.
19.15. დოკუმენტური სერიალი „ველური ბუნება“
19.40. „სამხრეთისაკენ“ – ტელესერიალი.
20.35. „მეზობელი გოგონები“ – ტელესერიალი.
21.00. კურიერი.
21.30. ინგლისური მხატვრული ფილმი „მზარეული, ქურდი და მისი ცოლი და ცოლის საყვარელი“.
23.40. „ლოს-ანჯელესის კანიონი“ – სერიალი.
00.30. კურიერი
00.45. იტალიური მხატვრული ფილმი „სიკვდილი კონტრაქტით“.

11.00. ტანვარჯიში „შეიპინგი“
11.45. მულტფილმები.
12.30. დოკუმენტური ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია“
13.30. მხატვრული ფილმი „ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოებანი“
14.45. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“.
15.00. მუსიკალურ-გასართობი პროგრამა.
17.45. საინფორმაციო გამოშვება
18.00. მულტფილმები.

18.05 До шестнадцати и старше
18.30 „вокруг света“
19.20 „ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА“. Сериал
20.10 Час пик
20.35 Угадай мелодию
21.00 программа В.ПОЗНЕРА. „МЫ“
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.40 сериал „ПОЛТЕРГЕЙСТ-2“
23.30 „чтобы помнили“ Иван Миколайчук.
0.10 худ.филъм „БЕЛАЯ ПТИЦА С ЧЁРНОЙ ОТМЕТИНОЙ“

## სამშაბათი 29 ივლისი

07.30. „ალიონი“
9.00 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“
18.00. „მოამბე“ „მესაკუთრე“. „XXI“ „რეტროპერსპექტივა“.
20.00. „მოამბე“ „პროფილი“ „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“.
21.10. მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა)
22.05. „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე) „ვიდეოპატრული 02“. ასპარეზი. კამერა-ტონი. ეს სტუდია გთავაზობთ. პროგრამის დასასრულს „მოამბე“ 00.00. ღამის კინოჩვენება. ფრანგულ-იტალიური მხატვრული ფილმი „წმინდა ნელი“.

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“.
19.20. მულტფილმები.
19.45. „გრაცია აერობიკა“.
21.10. დარბაზი.
21.30. „ობიექტივი-25“
21.55. პოდიუმი.
22.00. „ინფორმაცია მეორე არხი. რეკლამა.
22.05. პოლონური მხატვრული ფილმი „კინგსაიზი“.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“
18.40. მანუნა
19.15. დოკუმენტური სერიალი „ველური ბუნება“
19.40. „სამხრეთისაკენ“ – ტერესერიალი.
20.35. „მეზობელი გოგონები“ ტერესერიალი.
21.00. კურიერი.
21.30. „სარკმელი“ გოგი გვახარიას საავტორო გადაცემა. მხატვრული ფილმი „ვიოლინო“
23. 20. „ლოს-ანჯელესის კანიონი“ სერიალი.
00.10. კურიერი
00.25. ამერიკული მხატვრული ფილმი „20107 წლის კოსმოსური ოდისეა“.

11.00. ტანვარჯიში „შეიპინგი“.
11.40. მულტფილმები.
12.10. დოკუმენტური ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია.
13.00. ტელეკომპანია „МИР“
13.30. ამერიკული მხატვრული ფილმი „ემმაკის საკუთრება“.
15.25. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“.
15.45. გასართობი პროგრამა.
17.45. საინფორმაციო გამოშვება.
18.00. მულტფილმები.

18.05. До шестнадцати и старше
18.30 „вокруг света“
19.20 „ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА“. Сериал
20.10 Час пик
20.35 Угадай мелодию
21.05 тема
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.40 худ.филъм „ФРАНЦУЗСКАЯ ЖЕНШЧИНА“
0.30 закрытие московского международного XX кинофестиваля
1.25 сериал „ДИНАСТИЯ ГРЯЗНОЙ ВОДЫ“.
2.20 Пресс- экспресс

## ოთხშაბათი 30 ივლისი

07.30. „ალიონი“
9.00. მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა)
18.00. „მოამბე“ „სარკე“ 50X50.
20.00. ჩემპიონთა თასის შესარჩევი ეტაპი ფეხბურთში: „კუზეილერსი“ (ჩრდ.ირლანდია) – „დინამო“ (თბილისი, საქართველო). შესვენების დროს „მოამბე“.
21.00. „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“.
21.25. მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“
22.15. „ვესტნიკი“. „ვიდეოპატრული 02“ პროგრამა „დღე“
23.50. „მოამბე“
00.00. სტუდია ილუზიონი პროგრამა „პანორამაში“ წარმოგიდგენთ ამერიკულ მხატვრულ ფილმს „ნიკო-6“

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“.
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი.
20.00. გოლი.
21.10. პარალელი.
21.45. სიყვარულის ისტორია
21.50. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“.
22.10. ქართული მხატვრული ფილმი „სპირალი“ მე-4 სერია.
პროგრამის დასასრულს – მუსიკალური გადაცემა.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“
18.40. მანუნა
19.15. დოკუმენტური სერიალი.
19.40. „სამხეთისაკენ“ – ტელესერიალი
20.35. „მეზობელი გოგონები“ – ტერესერიალი
21.00. კურიერი
21.30. მხატვრული ფილმი „ვენერას ამოსვლა“
23.10. „ლოს-ანჯელესის კანიონი“ “ სერიალი
00.00. კურიერი.
00.15. ამერიკული მხატვრული ფილმი „მაიდუნებელი წინადადება“.

11.00. ტანვარჯიში „შეიპინგი“
11.40. მულტფილმები.
12.10. დოკუმენტური ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია“
13.00. ტელეკომპანია „МИР“
13.30. ფრანგული მხატვრული ფილმი „პოლიციელის სიტყვა“
15.15. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“.
15.40. გასართობი პროგრამა.
17.45. საინფორმაციო გამოშვება.
18.00. მულტფილმები.

18.05 До шестнадцати и старше
18.30 „Вокруг света“
19.20 „ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА“. Сериал
20.10 Час пик
20.35 Угадай мелодию



# კვირის ტელეპროგრამა

21.05 „чтобы помнили“ Сергей Лукъянов.
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.40 Сергей Лукъянов и Борис Андреев в филме „бОЛЪШАЯ СЕМЪЯ“
0.30 „серебряный шар. Павел Шпрингфилъд.
1.25 сериал „ДИНАСТИЯ ГРЯЗНОЙ ВОДЫ“.
2.20 Пресс- экспресс

## ხუთშაბათი, 31 ივლისი

07.30. ალიონი
09.00. მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“.
18.00. „მოამბე“. „მესაკუთრე“. „მერიდიანი“. „პიგია“ „სპა“
20.00. მოამბე „პროფილი“. „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“.
21.10. მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“
22.00. „ვესტნიკი“ „ვიდეოპატრული 02“. XX საუკუნე, დრო და ადამიანები“. პროგრამა „დღე“
22.40. მრავალსახეობა
23.50. მოამბე.
00.00. ამერიკული მხატვრული ფილმი „სიჩქარე“

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“.
19.20. მულტფილმები
19.45. „გრაცია-აერობიკა“.
20.00. „ინტერვიუ“.
20.20. ავტოსპორტი.
21.15. ჰოროსკოპი.
21.40. შვიდეული.
22.10. სარეკლამო რგოლი და „ინფორმაცია მეორე არხი“.
22.35. რუსული მხატვრული ფილმი „ნადირობის სეზონი“ (II ნაწ.) პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

18.00. კურიერი. საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“
18.40. მანუნა.
19.15. დოკუმენტური სერიალი.
19.40. „სამხრეთისაკენ“ – ტელესერიალი.
20.35. „მეზობელი გოგონები“ – სერიალი.
21.00. კურიერი
21.30. ქართული მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე“
23.05. „ლოს-ანჯელესის კანიონი“ – სერიალი.
00.05. კურიერი
00.10. ამერიკული მხატვრული ფილმი „ამადეუსი“.

11.00. ტანვარჯიში „შეიპინგი“.
11.40. მულტფილმები.
12.10. დოკუმენტური ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია“.
13.00. ტელეკომპანია „МИР“
13.30. რუსული მხატვრული ფილმი „ერმაკი“
16.05. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“.
16.30. გასართობი პროგრამა
17.45. საინფორმაციო გამოშვება
18.00. მულტფილმები.

18.05 До шестнадцати и старше
18.30 „Вокруг света“
19.20 „ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА“. Сериал
20.10 Час пик. Эдита Пъеха
20.35 Джентлъмен-шоу
21.05 Моя семъя:домашние скандалы
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.40 худ.филъм „ЛЕСНОЙ ВОИН“ (США).
0.30 магия: мир сверхъестественного. „ОХОТА НА ВЕДЪМ“ в америке.
1.10 сериал „ДИНАСТИЯ ГРЯЗНОЙ ВОДЫ“.
2.00 Пресс- экспресс

## პარასკევი 1 აგვისტო

07.30. „ალიონი“
9.00. მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“
18.00. „მოამბე“. 50X50
20.00. „მოამბე“. „პროფილი“. „ბასტი-ბუბუ“. „საღამო მშვიდობისა“ წარმოგიდგენთ
22.05. „ვესტნიკი“ „ვიდეოპატრული 02“.
22.20. ლატარია ყველასათვის.
23.00. „პური“. ტელე-სინე-ვიდეო.
23.50. „მოამბე“. ამერიკული მხატვრული ფილმი „სიჩქარე-2“

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი“.
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი
20.00. „ბულარია“.
21.15. მეოთხე
21.45. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“.
22.50. ფრანგული მხატვრული ფილმი „აფრიკელი“. პროგრამის დასასრულს მუსიკა.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება
18.15. „არ გეშინია სიბნელის?“
18.40. მანუნა.
19.15. დოკუმენტური სერიალი.
19.40. „სამხრეთისაკენ“ – ტერესერიალი.
20.35. VIDEO FASHION
21.00. კურიერი.
21.30. რუსული მხატვრული ფილმი „მოერიდე ავტომობილს“.
23.05. „ლოს-ანჯელესის კანიონი“. სერიალი.
23.55. კურიერი. ღამის არხი
00.15. სიმპსონები.
00.45. „ემოციები“.
01.15. ამერიკული მხატვრული ფილმი „მიუწვდომელი“.
03.30. „ინტიმური ფანტაზიები“.

11.00. ტანვარჯიში „შეიპინგი“
11.45. მულტფილმები.
12.10. დოკუმენტური ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია“.
13.00. ტელეკომპანია „МИР“.
13.30. რუსული მხატვრული ფილმი „ერმაკი“ (II ნაწილი).
15.15. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“.
15.45. გასართობი პროგრამა
17.45. საინფორმაციო გამოშვება.
18.00. მულტფილმები.

18.05 муз.программа „50Х50“
18.30 „Вокруг света“
19.20 „ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА“. Сериал
20.15 Человек и закон
20.45 Поле чудес
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.45 Детективный Сериал „СТРОГО НА ЮГ“.
23.30 Взгляд.
0.25 худ.филъм „ЗЕМЫЕ ДЕВУШКИ ДОСТУПНЫ“.
2.15 Пресс- экспресс.

## შაბათი, 2 აგვისტო

09.00. „ცხრიდან თორმეტამდე“ – შემეცნებით-გასართობი პროგრამა.
12.00. მოამბე. „XXI“. ქართული მხატვრული ფილმი „იეროდენა რაინდები“. „რეტროპერსპექტივა“.
18.00. „მოამბე“ „საქართველო და გარესამყარო“. „მეტრონომი“. საქართველოს კონსტიტუცია.
20.00. „მოამბე“ ვიდეოპატრული 02“. „ბასტი-ბუბუ“.
21.00. სტუდია „მაესტრო“
23.50. მოამბე.
00.00. ილუზიონი. იტალიური მხატვრული ფილმი „მარსელის კლანი“.

09.00. პროგრამა „დილა“. ამერიკული მხატვრული ფილმი „მგლებთან მოცეკვავე“.
19.00. ინფორმაცია II არხი“
12.20. საბავშვო გადაცემა „ბიპი“
19.45. ერალაში.
19.55. ველური სამყარო.
20.10. სკოლა
20.35. ჯაზ-სპირიტი.
21.00. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“.
21.35. ამერიკული მხატვრული ფილმი „ოქროს შენიქს“.
პროგრამის დასასრულს – კონცერტი.

18.00. კურიერი.
18.15. მულტფილმი.
18.30. „გზა ეივონლისაკენ“ “– საბავშვო სერიალი.
19.20. „ადამსების ოჯახი“ მინისერიალი.
19.50. ტელესერიალი. MASH
20.30. BOX OFFICE AMERICA
21.00. კურიერი
21.30. „საიდუმლო მასალები“ სერიალი.
22.15. კინოშოუ „ფსიქო“. მხატვრული ფილმი „მარწყვი და შოკოლადი (კუბა).
01.15. კურიერი. ღამის არხი.
01.25. ინტიმური ფანტაზიები
01.15. იტალიური მხატვრული ფილმი „ბლეფი“.

12.00. მულტფილმები.
12.40. დოკუმენტური ფილმი – „ცხოველთა ენციკლოპედია“.
13.30. [illegible]
15.50. [illegible] „ვარსკვლავები“.
16.20. შოუ-პროგრამა „ჯამ-პარნასი“.
17.00. მულტფილმები.
17.45. საინფორმაციო გამოშვება
18.00. მუსიკა.

17.50 Футбол: Чемпионат России. Динамо (Москва)- Балтика (Калининград).
20.05 А. Якубович в Телеигре „Колесо Истории“
20.50 „СТРОГО НА ЮГ“
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.55 худ.филъм „В ЗОНЕ ОСОБОГО ВНИМАНИЯ“.
23.45 худ.филъм „ЗАЖГИ КРАСНЫЙ ФОНАРЪ“

## კვირა 3 აგვისტო

09.00. „ცხრიდან თორმეტამდე“ – შემეცნებით-გასართობი პროგრამა.
12.00. მოამბე. სპა. რეგიონი. „პური“. „ტელე-სინე-ვიდეო“. ამერიკული მხატვრული ფილმი „ოქროს მაძიებლები“. საბავშვო სტუდია გთავაზობთ.
18.00. „მოამბე“ „სპორტი“. აფხაზეთის ტელევიზია [illegible] რეგია“.
20.00. ინტელექტუალები [illegible] დის“.
21.00. „მხეჯსი“.
21.50. „ვიდეოპატრული 02“
22.15. სატელევიზიო კინოდარბაზი.
23.50. „მოამბე“.
00.05. ღამის კინოჩვენება. ამერიკული მხატვრული ფილმი [illegible] მი სერჯიო“.

9.00. პროგრამა „დილა“. ამერიკული მხატვრული ფილმი „მგლებთან მოცეკვავე“. I ნაწილი
19.00. „ტაიმ-აუტი“.
19.30. მულტფილმები. გრაცია-აერობიკა.
20.00. პოპულა.
20.25. სუპერმატჩი.
21.00. ეკრანი
21.15. მისია.
21.30. „ვარსკვლავები [illegible] ცნობენ“.
21.55. „ტაიმ-აუტი“
22.15. რეკლამა.
22.30. ამერიკული მხატვრული ფილმი „სხვა ქალი“.

18.00. კურიერი.
18.15. მულტფილმი.
18.30. „გზა ეივონლისაკენ“ – საბავშვო ტელესერიალი.
19.20. „მონტი პაიტონი“ – მინისერიალი.
20.00. ტელესერიალი MASH
20.30. BE BEATIFUL
21.00. კვირა – საინფორმაციო ანალიტიკური გამოშვება.
21.45. „საიდუმლო მასალები“ – სერიალი
22.35. რეტრომუსიკა.
23.00. რუსული მხატვრული ფილმი „მანქანა-ტრუპი“
00.05. კურიერი. ღამის არხი
00.20. „სიმპსონები“
00.45. „ემოციები“
01.15. ფრანგული მხ. ფილმი „ვალსის მოცეკვავეები“.
02.25. ინტიმური ფანტაზიები

12.00. მულტფილმები.
12.40. დოკუმენტური ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია“
13.30. მხ.ფილმი „ტალღის [illegible]“.
15.50. გადაცემა „სტუმრად სტუმრებთან“.
16.20. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“.
16.50. შოუ-პროგრამა „ჯამ-პარნასი“.
17.20. გასართობი პროგრამა

18.00 Мулътфейерверк.
18.45 Счастливый Случа
19.35 Футболъное обозре
20.10 Песня - 97
20.55 „СТРОГО НА ЮГ“
21.50 Киноафиша
22.00 Время
22.40 В.Галкин, М. Волонт в Боевике „ОТВЕТНЫЙ ХО
0.20 филъм „ДУРНО ГЛАЗ“

გამოცდები, გამოცდები



# ყველაზე უღალატო „პროტექტორი"...

ბევრი რამ შეიცვალა უკანა-[სკნელ] წლებში თბილისის ივანე [ჯ]ავახიშვილის სახელობის სახე-[ლ]მწიფო უნივერსიტეტში და ეს [ც]ვლილებები, რა თქმა უნდა, [დრ]ოის მოთხოვნებს დაუკავში-[რ]და. ყოველწლიურად ემატება ახალ-ახალი სპეციალობები, წლე-[უ]ლს ეს გახლავთ „სახელმწიფო [დ]ა მუნიციპალური მართვა", სა-[და]ც 20 ადგილზე 53 განცხადება [შე]მოვიდა. ეს არც ისე ბევრია, თუ-[მც]ა, სავარაუდოა, რომ მომავა-[ლ]ში აქ კონკურსი გაიზრდება. სა-[ინტ]ერესოდ, ისტორიის ფაკულტე-[ტ]ზე იყო კონკურსმა – 1 ადგი-[ლ]ზე 2 კაცი. ჩემი აბიტურიენტო-[ბი]სა და სტუდენტობის წლებში, 10-15 წლის წინათ, ეს ფაკულტეტი „რაიკომის მდივნების სამჭე-[დ]ლოდ" ითვლებოდა და არც კო-[ნტ]ინგენტი აკლდა (სხვათა შორის, [ა]ლესათვის მაღალი კონკურსია ისტორიის ფაკულტეტის ახალ სპე-ციალობაზე, რომელიც შარშან გა-იხსნა – დიპლომატიისა და საერ-თაშორისო ურთიერთობების ის-ტორია).

ზოგადად, წინასაგამოცდო სუ-რათი ასეთია: უნივერსიტეტის 18 ფაკულტეტის 74 სპეციალობაზე, 1583 საკონკურსო ადგილზე განც-ხადება შეიტანა 4221-მა აბიტური-ენტმა, ხოლო საუნივერსიტეტო სპეციალობების პოპულარობის მხრივ ადგილები ასე განაწილდა:

მედიცინა – 1 ადგილზე 6 კაცი.

ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა და მედიცინა – 1 ადგი-ლზე – 5 კაცი.

სამართალმცოდნეობა – 10 ად-გილზე 47 კაცი (1 – 4,7). შემდეგ მოდის დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა (ინგლისური, გე-რმანული, ფრანგული) – 1 ადგი-ლზე 4 კაცი.

პოპულარულია, აგრეთვე, საე-რთაშორისო ეკონომიკური ურ-თიერთობები, ფინანსები და საბა-ნკო საქმე, კომერციისა და მარ-კეტინგის ფაკულტეტის სპეციალო-ბები, ჟურნალისტიკა და სხვა.



ოპტიმალური ვარიანტის ძიება-ში იცვლება და იხვეწება საგამო-ცდო სისტემაც.

ბატონი ავთანდილ წოწკოლა-ური, მიმღები კომისიის პასუხის-მგებელი მდივანი, რომელიც ჟუ-რნალისტიკის ფაკულტეტის დეკა-ნმა, პროფესორმა ნოდარ ტაბი-ძემ გამაცნო, როგორც „უნივერ-სიტეტის სინდისი", თვლის, რომ ბოლო სამი წლის ტენდენციაა კო-ნკურსის ზრდა უნივერსიტეტის როგორც უფასო, ისე ფასიანი სწა-ვლების ფაკულტეტებზე. ეს გამო-წვეულია თეთრ ტაძარში სწავლე-ბის ტრადიციულად მაღალი დო-ნით. რასაკვირველია, არის პრო-ბლემებიც, მაგრამ მისი კადრები მობილიზებულია და შეუძლია მა-ღალი დონის სპეციალისტების მო-მზადება.



უნივერსიტეტში გამოცდები უკვე ერთი კვირაა მიმდინარეობს და 5 აგვისტომდე გაგრძელდება, ხოლო ფასიან სწავლებაზე 8-9 აგ-ვისტოს ჩატარდება; ფულის გადა-ხდის საფასურად ცოდნის მიღების მსურველები მხოლოდ ერთ – ტე-სტირებულ გამოცდას ჩააბარებენ სპეციალობაში.

პირველი შედეგების მიხედვით, აბიტურიენტები საკმაოდ კარგად მომზადებულები ჩანან. აღსანიშ-



ნავია, შემცირდა კონტინგენტის ასაკიც 30-40 წლის კაცს დღეს ნა-კლებად უჩნდება სწავლის სურ-ვილი. გაფართოვდა გეოგრაფიუ-ლი სურათი – მშობლებს აღარ ეშინიათ სასწავლებლად შვი-ლების თბილისში გამოშვება. მა-გრამ, ვფიქრობ, რომ აბიტურიენ-ტების ძირითადი ნაწილი მაინც თბილისსა და მის შემოგარენზე მოდის, რადგანაც თბილისში სტუ-დენტის მატერიალურად უზრუნვე-ლყოფა დღეს ბევრ ოჯახს, უბრა-ლოდ, არ შეუძლია.

მოკლედ, დროს სიახლეები მო-აქვს, მაგრამ უცვლელი რჩება მი-საღები გამოცდების ციებ-ცხელე-ბის „კლასიკური სურათი": უნივე-რსიტეტის მაღლივი კორპუსის წინ მოედანზე შეკრებილ გულშემატ-კივართა დაძაბული სახეები, სი-ხარულის აღტაცებული შეძახილე-ბი თუ იმედგაცრუებული ამოო-ხვრა-შეფასების შესაბამისად, ამ უკანასკნელთა „კლასიკური ფრა-ზა" „ყველა ადგილი გაყიდულია", უფრო იღბლიანებისა (და, ალბათ, უფრო კარგად მომზადებულების) ოპტიმიზმი – „ცოდნას უნივერსი-ტეტში არავინ დაეკარგავს"...

მეც თავის დროზე „უპატრონო" აბიტურიენტს, ახლა უკვე თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, საკუთარი გამოცდილებით, ღრმად მწამს, რომ „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს", მით უმეტეს, თეთრი ტაძარი – უნივერსიტეტი აფასებდა, აფასებს და ყოველთვის დააფასებს ცოდნას, ყველაზე დიდ და ყველაზე უღალატო პროტე-ქტორს.

**ნინო ლურსმანაშვილი**

ჯავარ ლომაძის ფოტოები

## ბირჟა

### იყიდება

ვარკეთილის მეტროსთან ახლოს, კალოუბნის ქუჩაზე, ოროთახიანი ბინა მესამე სართულზე, ტელეფონით, პარკეტით, რკინის კარე-ბით. საწყისი ფასი 5.000 დოლარი. ტელ.: 73-50-22

**ვიქტორია.**

### ყურადღება!

სურამში ქირავდება ოთა-ხები კერძო სახლში საუ-კეთესო ადგილას, დიდი მყუდრო ეზოთი, ტყესთან ახლოს. პირობებიც და ფა-სიც ხელსაყრელია.

მისამართი: სურამი, გრი-გოლ სურამელის ქ № 50.

**მუმლაძე გურამი**

### ვიქირავებ

მიკროავტობუსს 300 ლა-რად. დარეკეთ ტელეფონზე: 66-57-80.

**ზაზა.**

### სხვადასხვა

არის დიდი, პრივატიზე-ბული ფართი ქალაქის ცე-ნტრალურ რაიონში. გამო-დგება სასტუმროსათვის. საჭიროებს რეკონსტრუქ-ციას. დარეკეთ: 95-51-75, დღისით.

სტოპკადრის ჩვენი სინამდვილიდან

# „ქვიშის კარიერის გენერალი" - სოსო!

„ქვიშის კარიერის გენერლები" – [ჩ]ვენი ახალგაზრდობის საყვარელი ფი-[ლ]მი იყო და ბევრ ჩვენთაგანს ახლაც [უ]ყვარს ეს ფილმი. რატომ შეგახსე-[ნ]ეთ ეს, თავად განსაჯეთ.

რამდენიმე დღის წინათ უცნაური ამ-[ბ]ავი შემემთხვა, რომელიც, ალბათ, „მი-[ლ]პაუზენის" თავგადასავალს წააგავს, [რ]ისი წაკითხვისას შეიძლება რომელი-[მე] თქვენთაგანს თვალზე ცრემლიც მო-[ა]დგეს, მაგრამ ვერ შეგპირდებით, ზე-[ნ]აგი მხიარულებისგან -მეთქი.

– სამსახურში მივიჩქაროდი „რუს-[თ]აველის" მეტროსთან როგორი ხა-[ლ]ხმრავლობაა, ყველამ ვიცით, რატო-[მღ]აც თვალში მომხვდა უცნაური სცე-[ნ]ა და ინსტიქტურად შევჩერდი: ხელ-[ჩ]ადახვეულ წყვილს 5-6-ოდე წლის სა-[ში]ურად ჭუჭყიანი, ფეხშიშველი, ჩამო-[ფ]ლეთილი, ტალახით სახემოთხვრილი [ბ]ავშვი მოსდევდა და ახალგაზრდა [კა]ცის შარვლის ტოტზე ეჭაჩებოდა ახა-[ლ]გაზრდა ხელისკვრით იშორებდა „ტურტლიან" ბავშვს და რაღაცას ეუ-[ბ]ნებოდა გაბრაზებული სახით. რომ [ვ]ერ მოიშორა, უეცრად ისეთი ძალით [მ]ოჰკრა პანღური, ბავშვი ჰაერში აი-[ტ]როლა და რამდენიმე მეტრის აქეთ, [ჩ]ემს ფეხებთან მოადენინა ზღართანი. [ბ]ავშვი. ნაწვიმარი იყო. ასფალტზე [ა]ლაგ-ალაგ ისევ სველი გუბურები [ი]დგა და რატომღაც სწორედ იმ გუბუ-[რ]აში „გაიშხლართა" ბავშვი და ჭუჭ-[ყი]ანი შხეფები ფეხებზე მომესხა. ერთი [მ]ომრიელადაც შეიგინა იმ ახა-ლგაზრდამ და აჩქარებული ნაბიჯით გაგვშორდა. „ვაიმე-დედაო" საოცრად დაიმანჭა ისედაც დამუწუკებულ-გაუ-ბედურებული ბავშვი, ზურგზე ხელი მოიელო, წამოდგა და გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, მუხლებზე შემომეხ-ვია, სველი ტანსაცმლით მომეკრო, თან ჭუჭყიან ხელებს მიპარტყუნებდა" და – „დეიდა ვაი, დეიდა ვაიო" – გაი-ძახოდა. საოცარ მდგომარეობაში ჩა-ვვარდი უფალმა მაპატიოს და ვერ შე-ვძელი ბავშვის თავზე ხელის გადასმა, იმდენად ჭუჭყიანი იყო და დამუწუკე-ბული. „ნუ მომთხვარე" – მეთქი, წა-მომცდა უნებურად და ჩემი თავის შემრცხვა„ფული მომეცი, დეიდა, ფუ-ლიო" – უცებ შეცვალა ბავშვმა წუწუ-ნის თემა. ტალახით მომსვროდა ჩა-ნთაც. გავხსენი და რაც ამომყვა, დაბ-ნეულმა გავუწოდე ოცთეთრიანი მო-ნეტა, ბავშვმა არნახული სიხარბით დახედა ფულს, მოულოდნელად შემა-ფურთხა და ზედ ისეთი გინებაც მია-ყოლა, სახტად დავრჩი. „ეს რა არის, კიდევ მომეციო" – ისევ ჭუჭყიანი ხე-ლები მომიტყაპუნა. დაბნეულმა მეო-რე ოცთეთრიანი ამოვიღე. საოცარი სისწრაფით გამომგლიჯა ხელიდან და ჯერ კიდევ დაუკეტავ საფულეზე წა-მეპოტინა: „აი ეს მომეციო" – ქაღა-ლდის ფულს რომ მოჰკრა თვალი – მომეშვი, არა-მეთქი! – ვცადე თავის განთავისუფლება, „სახლში წამიყვა-ნე დეიდა, საჭმელი მაჭამეო" – შემო-მავაზა უცებ. „მომეშვი, სახლში არ მი-ვდივარ მეთქი" – ძლივს მოვახერხე ნაბიჯის გადადგმა. მიმოვიხედე, ხა-ლხის ნაწილი შეჩერებულიყო და სე-ირს უყურებდა. ზოგს ირონული ღი-მილი დასთამაშებდა სახეზე, ზოგს სა-სოწარკვეთა, ზოგიც ისე, უაზრო, არა-ფრისმთქმელი, გაქვავებული მზერით ადევნებდა თვალს სეირს. ბავშვი ფე-ხდაფეხ მომყვა, ისევ მეპოტინებოდა: „წამიყვანე, საჭმელი მაჭამე, ქაღა-ლდის ფული მომეციო" წყობიდან გა-მოვედი, ლამის სილა გავაწანი. ღმე-რთო, მაპატიე! ბრაზისგან კანკალი და-მაწყებინა, ბავშვი არ მეშვებოდა.

ლარიანი ამოვიღე და მივეცი, ვიფი-ქრე, ოღონდ თავი დამანებოს-მეთქი,. „დედა არა გყავს"-თქო წამომცდა ჩემ-დაუნებურად – „დედა მყავს, ის სადგუ-რზე მუშაობსო" – მიპასუხა და დამუ-წუკებული სახე ისე დამანჭა, ლამის გუ-ლი შემიღონდა. „რას აკეთებს-მეთქი სა-დგურზე" – ვკითხე. „ასე, ისიც ხალხს ფულს ართმევსო". ჩემდაუნებურად შე-ვაჩერდი, რაღაც უცნაურმა ცნობისმო-ყვარეობამ შემიპყრო „სად ცხოვრობთ" -მეთქი. „იქ, სადგურთანო". „შენ უფრო ბევრი ფული გაქვს თუ დედას-მეთქი" – რომ ვკითხე, ისევ დაიმანჭა, რაც რა-ლაც სიცილისნაირს ჰგავდა – „ბევრი სოსოს მიაქვსო", ჩვენც გვიტოვებსო... უკვე რედაქციის წინა მიწისქვეშა გა-დასასვლელს მივუახლოვდით. „მოდი, ამ ქვის მოაჯირზე ჩამოვჯდეთ, მე ხომ კარგი დეიდა ვარ, ბევრი ფული მოგე-ცი და მომიყევი, სოსო ვინ არის-მეთქი– შევთავაზე. თურმე ნუ იტყვით, „სოსო ბიძია იქვე სადგურთან ცხოვრობს, ზე-ვით, გრძელ ხიდს რომ გადაივლი, კა-



დევ ზევით" სახლის „პადვალში" 6 ასე-თივე მათხოვარი ჰყავს დაბინავებული, სალამოთი მიდიან, ბავშვებს „მატრასზე" სძინავთ თურმე, დილებს „კუშეტკაზე"-, ფულს სალამოს სოსო ბიძიას აძლევენ, დედა და ორი დეიდა საჭმელს აჭმევენ სამ ბავშვს და იძინებენ. ერთხელ, ერთ მეზობელ ქალს ერთი ბავშვი დაუბანია, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მიუცია. იმ ბავშვის დედა თურმე ეჩხუბა იმ „მეზო-ბელ დეიდას", ვინ გეკითხებოდა, ასე ჩა-ცმულ-დახურულს ხომ არავინ არაფერს მისცემს და ფულს ცოტას გააკეთებსო...

დაილოცა უფალო შენი ნება!

სიტყვები არ მყოფნის, რა არის ეს?! რა ჰქვია ამას?!

– გულგრილობა, დანაშაული, საში-ნელება, საცოდაობა, გადაგვარება თუ კიდევ რა?!

მე ვერ მოვუნახე ახსნა, იქნებ თქვენ იცოდეთ...

**ნატა სალუქვაძე**

## ამის შემდეგ დალევ, აბა, რას იზამ!



ყველა ლოთის გასაგონად უნდა გამოვაცხადოთ, რომ მათ ნამდვილად დიდი საჩუქარი უძღვნეს ავსტრალიელმა მეცნიერებმა, რომლებმაც დაადგინეს, რომ ალკოჰოლის ხანგრძლივი და თუნდაც უშეღავებელ დოზებში გამოყენება ოდნავადაც არ მოქმედებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე. აღნიშნულმა მეცნიერებმა ძალზე საფუძვლიანად გამოიკვლიეს ალკოჰოლის მოყვარული 200 მოხალისე მამაკაცი, რომელთა საშუალო ასაკი 70 წელი იყო, სმა კი ლამის ბავშვობიდან ჰქონდათ დაწყებული.

თავიდან, ტესტების მეშვეობით, თითოეულის გონებრივი შესაძლებლობები დაადგინეს. შემდეგ, უახლესი აპარატურის გამოყენებით, გულმოდგინედ „მოქექეს" პროფესიონალი ლოთების ტვინები და თან ღრმად სჯეროდათ, რომ იქ საშინელ გადახრებს (თვით ნახევარსფეროების დაშლის ჩათვლითაც) აღმოაჩენდნენ. მაგრამ ნურას უკაცრავად, გონებრივი თვალსაზრისით, თვით გამოუსწორებელი ლოთებიც კი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებოდნენ თავიანთი ფხიზელი თანამოძმეებისაგან.

## ჭაბუკს მუცელი ასტკივდა და აბორტიც გაიკეთა



16 წლის ქაიროელ მუშას ხიშამან რაჯაბანს მოულოდნელად ისე სასტიკად ასტკივდა მუცელი, რომ სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს და აბორტიც (?!) გაუკეთეს – ექიმებმა ჭაბუკს თირკმელში მისი ტყუპისცალის განუვითარებელი ჩანასახი აღმოუჩინეს და ამოკვეთეს. მსგავსი რამ – როცა ერთი განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ყოვლად აუხსნელი მიზეზით, მეორის შიგნით ხვდება – ძალზე იშვიათი მოვლენა ყოფილა.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა, რაჯაბანიც სწრაფად მომჯობინდა, მაგრამ ჯერჯერობით შოკიდან ბოლომდე მაინც ვერ გამოსულა და არც გაემტყუნება: ხუმრობა საქმეა, 16 წლის მანძილზე ცოტათი ფეხმძიმედ ყოფნა?!

## ვასო ბაბუამ ოჯახი „აამტუტა"



მოხუცებულმა ოთხმოცი წლის ვასილ ვორობაევმა ნივრის „სურნელის" ყნოსვის ნამდვილი რეკორდი დაამყარებინა საკუთარი ოჯახის წევრებს. თურმე, ნუ იტყვით და ვასო ბაბუას 100 წლამდე გადაუწყვეტია სიცოცხლე და ისიც მტკიცედ ჩაუჭედია ტვინში, რომ ამის მისაღწევად მხოლოდ და მხოლოდ ნივრით უნდა იკვებოს და მისი არომატიც განუწყვეტლივ უნდა იყნოსოს.

როგორც მოხუცის სასოწარკვეთილმა ოჯახის წევრებმა განაცხადეს, ნივრის გადამალვას აზრი არა აქვს, რადგან ბაბუა უმალ ახალ-ახალ თავებს ყიდულობს, თანაც რასაც შეჭამს, ხომ შეჭამს და დანარჩენს, სანამ ვინმე თვალს შეასწრებდეს, მონდომებით უსვამს ავეჯს, კარებს და ფანჯრის რაფებს.

როგორც კი ამის გამო ვინმე პროტესტს გამოთქვამს, ვასო ბაბუა ერთ პასუხს აძლევს: „ბინა ჩემია, თქვენ ყველა მისი სიკეთით სარგებლობთ, ასე რომ, კეთილი ინებეთ და მეც მომეცით საშუალება თავი აქაურობის სრულ ბატონ-პატრონად ვიგრძნო!"

ვასილ ვორობაევის შვილთაშვილს პირველი სერიოზული დარტყმა უკვე მიაყენა ბაბუის ახირებამ: ის შეყვარებულმა გოგონამ მიატოვა. საწყალი ყმაწვილი ახლა იმის შიშშია და მოლოდინშია, თუ როდის დაითხოვენ სამსახურიდან ნივრის „სურნელით" გაჟღენთილ მის მშობლებს.

## ტყუილს მარტო მოკლე ფეხები კი არა, მავნე „ხელებიც" ჰქონია

ამერიკელმა ფსიქოთერაპევტმა ბრეტ ბლენტონმა საკუთარი მრავალწლიანი გამოკვლევების სენსაციური შედეგი გამოაქვეყნა: „ტყუილი მავნებელია ზოგადად ადამიანის და პირველ რიგში კი თავად მატყუარას ორგანიზმისათვის!" ბლენტონი ამტკიცებს, რომ რეგულარული ტყუილი, თუნდაც მცირე დოზით, უძილობის, გონებრივი მოქმედების დარღვევისა და თვით სერიოზული ფსიქიკური დაავადებების უტყუარი მიზეზიც შეიძლება გახდეს.



## ორშაბათი მძიმე დღეა — გაიღიმეთ!

## პრუსიული ბატი და გერმანელი მოენე




მამაჩემი დიდ სამამულო ომში მზვერავი იყო. მზვერავები ყველაზე მამაცი და შეუპოვარი ხალხია. ასეთი იყო მამაჩემიც – „უშიშო, ვითარცა უხორცო". ბავშვობაში სიამოვნებით ვუსმენდი მის მონათხრობს ომის ამბებზე, რაც თვითონ გადახდენოდა. სამწუხაროდ, მაშინ არ მომფიქრებია ჩანაწერების გაკეთება, თვითონაც აპირებდა, მაგრამ, როგორღაც ვერ მოახერხა... ახლა ვნანობ, მაგრამ გვიანღაა, მამა აღარ არის, მისი მონათხრობი კი ბუნდოვნად შემორჩა მეხსიერებას. აი, თუნდაც ერთი ასეთი კურიოზი:

– პრუსიაში ვართ, გერმანელები უკან იხევენ და ერთი-მეორის მიყოლებით ტოვებენ სოფლებს. ჩვენი ნაწილი ერთ-ერთი სოფლის გარეუბანში დგას. სამმა მზვერავმა ოპერატიული დავალება მივიღეთ, სოფელი დაგვეზვერა და მოენე მოგვეყვანა. დაბნელდა და წავედით დავალების შესასრულებლად. სოფლის განაპირას ერთ მიტოვებულ სახლთან შევჩერდით, მოვათვალიერეთ იქაურობა და შიგნით შევედით. ეტყობოდა, ახლახან მიეტოვებინათ. ერთი ოთახის კუთხეში სარდაფში ჩასასვლელი შევამჩნიეთ, ავხადეთ, მოვათვალიერეთ და ჩავედით. ათასი ხარახურა ეყარა. უეცრად ჩემს სმენას ჩუმი სისინის ხმა მოსწვდა, ზუსტად ისეთი, ნაღმის აფეთქების წინ ფითილის წვა რომ გამოსცემს. ბიჭებო, მგონი ნაღმია, ჩქარა, გარეთ გადით, მე მოვძებნი მეთქი, დავუყვირე და ხმას მივყევი, თან გულს ბაგა-ბუგი გააქვს, ან ახლა ავიწევი ჰაერში, ან ახლა... ხმამ დამტვრეულ ხის ყუთებთან მიმიყვანა, ფრთხილად გადმოვყარე (ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წამებში ხდება) და... რა ნაღმი, რის ნაღმი, ერთი შეშინებული ბატი არ შემრჩა ხელში? იმისი სისინის ხმა იყო, რომ დაგვაფეთა. ამიტყდა სიცილი, ამოვიჩარე იღლიაში და ამ ჩემი უჩვეულო „ნაღმით" ზემოთ ამოვძვერი... წამოვიყვანეთ ის ბატი (კაი ფეხზე შეგვხვდა) და ერთ სახლთან მივხოხდით, საიდანაც თითქმის შეუმჩნეველი სინათლე გამოდიოდა. ცოტა ხანს შევიცადეთ. გამოვიდა გერმანელი, ალბათ, საჭიროებაზე... გავუშვით ბატი, ასისინდა, ხმაზე გერმანელმა ფანრით მოათვალიერა იქაურობა და ბატი არ დაინახა?! გაუხარდა, იფიქრა, გემრიელი ლუკმა თავისი ფეხით მოსულაო, წამოვიდა დასაჭერად, სტაცა ხელი (ჭკვიანი ბატი იყო, არც კი განძრეულა) და კონდახიც მოხვდა თავში. ჩავჩარეთ პირში ნაჭერი და წამოვათრიეთ ნაწილში გერმანელი მოენე და პრუსიული ბატი. ორივე ძალიან გამოგვადგა...

**ნინო ლურსმანაშვილი**

## ტესტი



## ზომიერი უგუნურება

*არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ ფიქრობენ და შემდეგ ამბობენ ან აკეთებენ რამეს. მაგრამ არიან ისეთებიც, ჯერ რომ ამბობენ და აკეთებენ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ფიქრს. მისაბაძად, როგორც წესი, პირველთა საქციელია მიღებული. მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ კაცი წყალში ჩავარდა და იხრჩობა, ნაპირზე კი დგას მეორე კაცი, რომელიც ჯერ ფიქრობს როგორ უნდა უშველოს, მერე ხმამაღლა აყალიბებს თავის ნაფიქრალს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს წყალში ჩასვლას (?!) ასე რომ... ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია.*

*იმის გასაგებად, თუ დასახელებულთაგან რომელ პოლუსთან უფრო ახლოს დგახართ, ქვემოთ მოხმობილ კითხვებს უპასუხეთ.*

1. ყველაფერს თუ ჩაიდენთ სასურველის მისაღწევად?
დიახ – 0 ქულა, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
2. ყურადღების მისაღწევად სკანდალს თუ ატეხთ?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
3. გაბედავთ თუ არა ფიზიკურად თქვენზე ძლიერი ადამიანის გაბრაზებას?
დიახ – 1, არა – 0, შემთხვევას გააჩნია – 0,5
4. ავადმყოფობის დროს წამლებს თუ ეძალებით?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
5. უმნიშვნელო მიზეზს თუ გამოჰყავხართ წონასწორობიდან?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
6. თუ გჯერათ, რომ ოდესმე სახელს გაითქვამთ?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
7. ხომ არ გჩვევიათ უზომო ჭამა მაშინაც კი, თუ დიდად არ გშიათ?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
8. საათობით მზეზე ჯდომა თუ გიყვართ?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
9. შეგიძლიათ გაჩერება, თუ გრძნობთ , რომ აგებთ?
დიახ – 1, არა – 0, შემთხვევას გააჩნია – 0,5
10. გსიამოვნებთ მანქანით სწრაფი სიარული, თუნდაც ეს სიცოცხლისათვის სარისკო იყოს?
დიახ – 0 , არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
11. გიყვართ თუ არა წინასწარ იმის გაგება, თუ რას გაჩუქებენ?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5
12. დიდი ძაღლები თუ გიყვართ?
დიახ – 0, არა – 1, შემთხვევას გააჩნია – 0,5

შედეგები:

*9,5 და მეტი ქულა. წინდახედული და კეთილგონიერი ადამიანი ხართ. მშვიდად და მოწესრიგებულად ცხოვრობთ. შესაძლოა, ზედმეტი სიბრძნის გამო არ ეძებთ ცხოვრებაში ცვლილებებს, ანდა ნაბიჯ-ნაბიჯ მეთოდურად მიიწევთ მთავარი მიზნისაკენ და ამიტომაც არ გსურთ სხვა რამეზე ყურადღების გადართვა. მაგრამ, შეიძლება, უბრალოდ გეშინიათ გაკვალული გზიდან თუნდაც ერთი ნაბიჯით გადახვევისა? თუ მართლაც ასეა, მაშინ ჩვენს ცვალებად დროში, ალბათ, მთლად ტკბილად ვერ უნდა ცხოვრობდეთ.*

*4,5 – 9 ქულა. როგორც ჩანს, თქვენს ხასიათში სიფრთხილე და უგუნურება ოპტიმალური პროპორციებითაა წარმოდგენილი. თუ მართლაც ასეა, ძალიანაც კარგი – ცხოვრებაში ერთიც საჭიროა და მეორეც. თქვენი მოხიბვლა ძალიან სწრაფად შეიძლება, მაგრამ ზომიერებაც არასოდეს გღალატობთ, ამიტომ ყოველთვის დროულად ჩერდებით.*

*3 და ნაკლები ქულა. ადამიანი კი არა, ნამდვილი ფეიერვერკი ხართ! მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებით, ადვილად ფეთქდებით და ამის გამო იქაც კი პრობლემებს აწყდებით, სადაც ისინი, წესით, არ უნდა გხვდებოდეთ. ასეთი ხასიათი დინამიურ გარემოში, მაგალითად, კომერციის ზოგიერთ სახეობაში, საკმაოდ მომგებიანია. მაგრამ რისკი მაინც დიდია და არც არაქათის გამოცლისგან ხართ დაზღვეული. ისწავლეთ საკუთარი თავის კონტროლი, მოთხოვნილებების შეზღუდვა და ამქვეყნიური რიგითი სიხარულებით ტკბობა.*

## გვარ-სახელვორდი



*ქვემოთ მოცემული ასოთა ერთობლიობა სწორად დალაგების შემთხვევაში, ადამიანის გვარს ან სახელს გვაძლევს. დაალაგეთ ასოები და კროსვორდიც ამოხსნილი იქნება.*

თარაზულად: 5. რიშილილვასა; 6. ნესიენი; 8. ჰმიხოჟა; 10. ლიგუა; 11. რუმიდა; 12. ანაილა; 13. ანოდი; 15. რიმანედა; 17. ურიბასლი; 19. დირენანა; 20. ნალეგამი; 22. ტარესი; 24. ტებაბა; 26. საული: 28. სილიმია; 29. ძილერიუ; 30. შიშივკალალი.

შვეულად: 1. ნასექი; 2. ქაირი; 3. ვიხკა; 4. ნომასი; 6. სტენმანედოდი; 7. იდეიფუნუსელი; 9. ნანადაძაკელა; 13. ერნესი: 14. ბარამი; 16. ლიფი; 18. მეიუ; 23. უიშასი; 25. დარები; 26. ლაილი; 27. ოიავა.

**შეადგინა ნიკო ნარეკლიშვილმა**

გვერდი მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**